პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 10 ოქტომბერი, 1947 წ. № 202 (7986). ფასი 20 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲒᲗᲐᲨᲘ

წარმოების მეთაურთა ამოცანები დასკვნითს კვარტალში — მოწონაგი (1-ლი გვერდი).

ვორონეჟის ს. მ. კიროვის სახელობის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის მშენებელთა მიმართვა ამხანაგ სტალინს და ამხანაგ სტალინის პასუხი (1-ლი გვერდი).

თბილისის მრეწველობამ 109,1 პროცენტით შეასრულა 9 თვის გეგმა (1-ლი გვერდი).

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა საბერძნეთის სალიტსის გამო მენეჯერული ასოციაციის პირველი კონფერენციის სხდომაზე 1947 წლის 6 ოქტომბერს (მე-2 და მე-3 გვერდი).

გაეცთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).

საბჭოთა საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი იტალიის ომუშვილი კოლონიებების საკითხზე (მე-4 გვერდი).

წარმოების მეთაურთა ამოცანები დასკვნითს კვარტალში

უმაგალითო შრომითი ალიაღლება საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში. ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები იბრძვიან მეოთხე ხუთწლეული მეორე წლის დაგალებათა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად, გეგმის ზევით ცალკინობით მანეთის ღირებულების პროდუქციის გამოშვებისათვის.

უკვე შეჯამებული ცნობები მოწმობენ, რომ საქართველოს მრეწველობამ ექვსი სამი კვარტალის გეგმები წარმატებით შეასრულა. იელისსა, აგვისტოსა და განსაკუთრებით სექტემბერში საკრძნობლად გაზრდილია პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესებულია ხარისხი, გაფართოვებულია ასორტიმენტი. ამ წარმატებათა მოპოვებას ხელ შეუწყო საწარმოებში სტახანოვური შრომის. ახალი მეთოდების მასობრივად დანერგვამ, საოკეანეშრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ ეაშლამ, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის განხორციელებამ, ახალ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა რეალიზაციამ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში განახორციელეს ფენრინების ი. ლორენქიფანიძის, გ. ბალორიშვილის და დ. ჩიკაშუას მიერ კოლექტიურად დამუშავებული რაციონალიზატორული წინადადება ფეროშენადნობის უფლესოდ (ერქვეის შეუფრეულად) გამოფნობისათვის. ამ ღონისძიებამ ერთიანად გადიდა სადნობი ღუმელების წარმადობა და 20 პროცენტით შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯი. კასპის ცემენტის ქარხანაში ეკონომისტმა ა. ალეკსაშვილმა გააანალიზა და გაუმჯობესა ცემენტის დაფვის ტექნოლოგია, რის შედეგად ფაქტიურად ექსტემბერში 12 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის გამოშვება. ასეთი ღონისძიებანი ხორციელდება მთელ რიგ მოწინავე საწარმოებში, შახტებში, მაღაროებში, ახალშენებლობებზე. ეს საგრძნობლად უადვილებს ამ საწარმოთა კოლექტივებს სოციალისტური შეჯიბრების ფრონტზე ნაკისრი ვალდებულებათა განადგურებას.

მოწინავე საწარმოთა კოლექტივები ცნობილია ასრულებენ დიდი ოქტომბრის 30 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს, მაღლა უპირავთ სოციალისტური შეჯიბრების ფრონტზი. ბევრმა მთგანმა პროდუქციის ბრძოლების მხრივ უკვე მიაღწია ისეთ ფინეს, რაც უზრუნველყოფს წლიურ გეგმის 7 ნოემბრისათვის განადგურებას. მაგრამ ამ მოწინავე საწარმოთა კეკრდილი არიან ჩამორჩენილნიც. ამ-ი ამოცანა ის არის, რომ წლიური გეგმა შეასრულონ არა მარტო მოწინავე საწარმოებმა, არამედ მთელიანდ მოელმა მრეწველობამ და ტონასპორტმა. უკელმლივ ყველა საწარმომ. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გეგმის ყველა მაჩვენებლების მიხედვით შესრულებას. ამ მხრივ გაკვეთილად უნდა გამოიყენონ განსენილი თვეების გამოცდილება. ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ საწარმოებში, თუმცა გეგმებს საერთოდ ასრულებენ, მაგრამ ჩამორჩენილან ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მაჩვენებლებში. მაგალითად, სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანა, ბუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი, ზუტაკი ხელსაწყოების ქარხანა და სხვა საწარმოები ვერ გვაძლევენ დამტკიცებული ნომენკლატურით გათვალისწინებული პროდუქციას, ვერ უზრუნველყოფენ სასაორტიმენტო გეგმის შესრულებას. მეოთხე კვარტალში ამ საწარმოთა კოლექტივებმა, უპირველეს ყოვლისა წარმოების მუთაურთა გადაუდებელი ამოცანაა ამ მხრივ გარდატეხის მოწეწვა. ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ მარტოოდენ პროდუქციის საერთო გამოშვების მიხედვით გეგმის შესრულება არ ყმარა, რომ საქონია მაღალი მაჩვენებლების მოპოვება ასორტიმენტის, ხარისხის, თვითღირებულების მიხედვითაც.

საოკეანეშრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩამორჩენილ საწარმოო კოლექტივთა რიცხვი დღითი დღე მცირდება. იმ საწარმოებს, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამორჩენიან, დაწესებულების ყველა ბრიგადა აქვთ. საქმე მხოლოდ ამ საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ხელმძღვანელთა უნარსა და მოქნილობაზეა დამოკიდებული. ისეთ ჩამორჩენილ საწარმოთა შორისაა ჟერჟერკრეთი - სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარეშორტო ქარხანა, სადაც ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს, შრომის ნაყოფიერების მხრივ გარკვეულ დონეზე მტკიცედ გადმგრება. არის თვე, როდესაც ქარხანა ახერხებს ორთქლმავლების მეტი რაოდენობით გამოშვებას, ხოლო მეორე თვეში ამ მიღწეულს ვერ ინარჩუნებენ და ორთქლმავლების გამოშვებას ზოგჯერ სანანეცოდაც კი ამცირებენ. ეს წარმოების მეთაურთა მოქანელობითაც აიხსნება. ქარხნის მთელმა რიგმა საამქროებმა, მათ შორის ისეთმა წამყვანმა უბანმა, როგორიც სამსხმელო საამქროა, შესაბრწეველად გაამლიერეს პროდუქციის გამოშვების ტემპი, ნოემბერი ამავე დროს გადამწყვეტ უბანზე — ორთქლმავლების ამწყობ საამქროში მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩება. თუ ქარხნის ხელმძღვანელობამ, წარმოების მეთაურებმა შესძლეს მუშაობის გაჯანსაღება ლითონსამსხმელი და სამაგრი-საკავშირო საამქროებში, უნდა ვეგულისხმოთ, რომ შეიძლებოდა საქმის უკეთესად დაყენება ამწყობ საამქროშიც. ეს სათანადოდ უნდა. გაითვალისწინოს ქარხნის ხელმძღვანელობამ.

დიდ ღღესასწაულამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა ეს დრო მაქსიმალური ნაყოფიერებით იქნას გამოყენებული. უნდა შეიძლოთ ეაბლოს ეს ეფექტები. ეს საერთო ალმაკლობის მიღწევა, რიტმული მუშაობის მტკიცედ დაყენება, წარმოების მაღალი ტემპის ალება. არა იერშობანა, არა ყველგანთ მუშაობა, არამედ თანდათან მზარდი მაჩვენებლების მოპოვება, ეურსის ალება არა ცალკე რეკორდების მიღწევის, არამედ მთელი კოლექტივის მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანისაკენ. აი რა არის ახლა ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელების, ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანა, რათა დაფარონ წინა თვეების დაგალიანებაც და წლიური პროგრამებიც პირნათლად შეასრულონ.

მეოთხე კვარტალი არ უნდა გვეყოლოს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო!

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. Ჯ. Გ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡ, Ჯ. Ს. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ Ი. Ბ. ᲒᲐᲜᲘᲜᲘᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲠᲒᲕᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲪᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს საბჭოთა ხელოვნების განვითარების დარგში ნაზარძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1. კანდელაკი პავლე მამანტის-ძეს,
2. ფორეულიანის პოლიკარპე ლევანის-ძეს,
3. ვეინიჩიეს ივანე სერგეის-ძეს.

საკავშირო კ. პ. (ბ) საქართველოს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲙᲝᲢᲝᲕᲘᲩᲘ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Შ. ᲓᲔᲓᲘᲩᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ

1947 წ. 9 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

აფხაზეთის სსსრ აღგილობრივი საბჭოების არჩევნები

ᲒᲐᲛᲘᲗᲕᲘ, 7 ოქტომბერი. აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით აფხაზეთის სსსრ შრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები დანიშნული ეკრას — 1948 წლის 11 იანვარს.

აჭარის სსსრ აღგილობრივი საბჭოების არჩევნები

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 8 ოქტომბერი. (საქფილი). აჭარის სსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აჭარის სსსრ შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები დანიშნა ეკრას—1948 წლის 11 იანვარს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ ეკავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე ალექსის-ძე ივანოვი დანიშნა სსრ ეკავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ ეკავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე ალექსის-ძე ივანოვი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გათავისუფლა სსრ ეკავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის მოვალეობისაგან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

Москва, Кремль

СССР КАВШИРის МИНИСТРთა СაБჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ

ძვირფასო ამხანაგო **სტალინ!**

მოგახსენებთ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ვორონეჟის **ს. მ. კიროვის** სახელობის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის პირველი რიგის აღდგენის დამთავრებისა და ამუშავების შესახებ შესრულებულია. ამა წლის 27 სექტემბერს მიღებულია ვორონეჟის სინთეზური კაუჩუკის პირველი პარტია. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ ძლიერ დანგრეული ქარხნის აღდგენის პროცესში შესრულებულ იქნა დიდი სამუშაოება ქარხნის რეკონსტრუქციის და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებით აღჭურვის, ტექნოლოგიური პროცესის მართვის ავტომატიზაციის დანერგვისა და ქარხნის კეთილმოწყობის დარგში. ქარხანა უკეთესი გახდა, ვიდრე ომამდე იყო.

პირობის გაძლეევი, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, ქარხნის მეორე რიგის მთელი სამუშაოება დავამთავეთ მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაში და ავეთვისეთ სინთეზური კაუჩუკის წარმოების უახლესი მოწინავე ტექნოლოგია.

სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სახალხო კომისარიატის № სამშენებელი სამმართველოს უფროსი ᲡᲘᲕᲐᲩᲔᲕᲘᲩᲘᲡ

№ სამშენებელი სამმართველოს მთავარი ინჟინერი ᲐᲑᲐᲛᲘᲫᲘᲡ

საკავშირო კ. პ. (ბ) ქ. ვორონეჟის სტალინის რაიონის მდივანი ᲨᲘᲠᲘᲜᲘᲡᲘᲡ

ვორონეჟის ს. მ. კიროვის სახელობის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის დირექტორი

ᲒᲐᲒᲔᲗᲘᲫᲔ

ქარხნის მთავარი ინჟინერი ᲨᲔᲕᲘᲪᲘᲡ

ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი ᲨᲝᲚᲝᲢᲐᲠᲘᲜᲘᲡ

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ᲙᲝᲒᲔᲕᲘᲡ

№ სამშენებელი სამუშაოთა უფროსი უფროსი ᲩᲘᲠᲜᲘᲫᲐᲫᲔ

№ სამშენებელი სამუშაოთა უფროსის მთავარი ინჟინერი ᲜᲘᲜᲘᲫᲘᲡ

№ სამშენებელი სამუშაოთა უფროსის პარტორგანიზაციის მდივანი ᲩᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ

ვორონეჟი

СИНТეᲖᲣᲠᲘ ᲙᲐᲣᲩᲣᲙᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲒᲔᲩᲘᲜᲝᲕᲘᲡ, ᲐᲑᲐᲛᲘᲫᲘᲡ, ᲨᲘᲠᲘᲜᲘᲡᲘᲡ, ᲛᲐᲒᲔᲯᲔᲕᲘᲡ, ᲨᲔᲕᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲚᲝᲢᲐᲠᲘᲜᲘᲡ, ᲙᲘᲠᲩᲘᲪᲘᲡ, ᲩᲘᲠᲩᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ, ᲜᲝᲜᲘᲫᲘᲡ, ᲒᲘᲣᲮᲝᲕᲘᲡ

ვოლოკა შენენდებესა და მემონტაჟეების ვორონეჟის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის პირველი რიგის აღდგენის დამთავრებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემას. სინთეზური კაუჩუკი მეტად ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას სახალხო მეურნეობისათვის.

გიხურავთ შემდგომ წარმატებებს თქვენს მუშაობაში ქარხნის მეორე რიგის შენებლობისათვის.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

Москва

СССР КАВШИРის МИНИСТРთა СაБჭო ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ

მოგახსენებთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ზღვისპირეთის მეთვეზეებმა ვადამდე შეასრულეს წლიური სახელმწიფო გეგმა. მთლიანად „ᲒᲚᲔᲒᲐᲠᲘᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ“ ხაზით თევზის, ასთაკვლისა და ვეშაპის ჭერის გეგმა 29 სექტემბრისათვის შესრულებულია 100,4 პროცენტით, კონსერვის გამოშვებისა — 119 პროცენტით, ქონის წარმოებისა—120,6 პროცენტით. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა უცვლელ ფასებში შესრულებულია 100,2 პროცენტით. წელს განსაკუთრებით კარგად მუშაობდნენ ასთაკვის ჯაჭერი და ვეშაპზე სანადირო ფლოტილიები, თევზკომბინატები: სოვგავანი, პეტროპენი, სეკენოკი, ნელმა, დატა, პლასტუნი, ზარეშინი, ვლადივოსტოკის ქალაქთევზკომბინატი და შურტოვის, ოლგინსკისა და ხასანის მოტორიანი თევზსაჭერი სადგურები.

ზღვისპირეთის მეთევზეებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით დაიჭირონ 1.200.000 ფუთი თევზი, გამოიმუშაონ 3.000.000 ქილა კონსერვი, 60.000 ფუთი ქონი და საწარმოებიდან გაზიდონ მთელი პროდუქცია.

მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები და მეთევზე კოლმეურნეები პირობას გაძლევენ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავს და ინტერნაციონალისადმი ზღვისპირეთის განთავისუფლების 25-ე წლისთავს ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნავენ და წლის ბოლომდე პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის მდივანი ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲕᲘ

„ᲒᲚᲔᲒᲐᲠᲘᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ“ უფროსი ᲜᲐᲓᲘᲑᲐᲘᲫᲔ

მეთევზეობის კოლმეურნეობათა სამხარეო კავშირის თავმჯდომარე ᲑᲠᲐᲒᲝᲕᲩᲙᲘ

საᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲡᲢᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 5 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 76.538 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები, რაც გეგმის 30,6 პროცენტს შეადგენს.

ქლეხორის რაიონში თესვის გეგმა 113,6 პროცენტით ანის შესრულებული, თბილისის რაიონში—79,3, სიჩხეთის—72,3, ცაგერის—62,1, ასპინძის—55,5, დუშეთის—55,2, საგარეჯოს — 53,8, ონის—47,3, ჭიათურის — 46,9, თიანეთის—43,9, ბორის—43,3, ბაგრატის—43,3, ორჯონიკიძის—37,3, ადიგენის—36,1, წითელწყაროს — 34,8, ლაგოდეხის — 34,8, ახალციხის — 33,8, კაჩეთის — 32,9, სილნაღის — 26, ხაშურის — 23,9, ქარელის — 22, თეთრი წყაროს — 21,6, გარდაბანის — 20,3, კასპის — 19,5, ამბროლაურის—19,6, ახმეტის—19,2, თელავის—18,2, ყვარლის—17,7, დანესის—17,1, მარნეულის—16,5, ბულეკანის—8,8, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—5,5, ბორჯომის რაიონში — 2,2 პროცენტით.

მᲖᲐᲠᲐᲦᲔᲚᲘ ᲩᲜᲔᲚᲐ

5 ოქტომბრისათვის ბაშურის რაიონში მზრალად ხვნის გეგმა შესრულებული იყო 90 პროცენტით, ასპინძის რაიონში — 76,1, ახალციხის — 73,4, წალკის — 73,3, ყვარლის — 72,7, გურჯაანის — 72,1, ბოგდანოვკის—66,4, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის კოლმეურნეობებში — 65,4, ქარელის რაიონში — 65,3, ახალქალაქის—63,3, მარნეულის — 62,9, თბილისის—59,1, წითელწყაროს — 56,6, ბორჯომის — 56,5, ადიგენის — 55,1, დუშეთის — 49,4, თეთრი წყაროს — 45,9, საგარეჯოს — 45,6, ლაგოდეხის — 44,3, თელავის — 43,1, ბორის — 43, კაჯრეთის — 40,7, სილნაღის — 35,6, კასპის — 28,4, მცხეთის — 20,3, ახმეტის — 19,7, ბოლნისის — 19,3, დმანისის — 14.2. თიანეთის — 14, გარდაბნის — 13.4.

სულ საქართველოს კოლმეურნეობებში 5 ოქტომბრისათვის მზრალად ბოხნეს 82.340 ჰექტარი, გეგმის 54,9 პროცენტი.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲢᲘᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

ქარხნის მექანიკური საამქროს მუშები, რომელნიც საოქტომბერო შეჯიბრებაში მონაწილეობენ, სტახანოვური განრიგით მუშაობენ.

ᲡᲣᲠᲗᲐᲜᲘᲡ: უფროსი ოსტატი ბ. დოროშინი (მარჯვენა) სტახანოვურ განრიგს ამლევს საამქროს სტახანოველ გ. ხიმასურიძეს, რომელიც დაკალებულს 300 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მრᲔᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ 109.1 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ქალაქ თბილისის ფარგლებში მდებარე საწარმოებმა სექტემბერში ხაერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 110,1 პროცენტით. ცხრა თვის გეგმა ამავე საწარმოებს განადგურებული აქვთ 109,1 პროცენტით.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ბრძოლა გეგმა განადგურეს 116,1 პროცენტით, ცხრა თვისა—118,1 პროცენტით. საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა სექტემბრის გეგმა შეასრულეს 124,3 პროცენტით, ცხრა თვისა—118,6 პროცენტით; მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა სექტემბრის გეგმა შეასრულეს 141 პროცენტით, ცხრა თვისა—135,3 პროცენტით.

ცალკე საწარმოთა გეგმების შესრულების მაჩვენებლები შემდეგია:

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ სექტემბრის გეგმა შეასრულა 122,4 პროცენტით, ცხრა თვისა—121,3 პროცენტით; ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ სექტემბრისა—128,3 პროცენტით, ცხრა თვისა—117,3 პროცენტით; ეირიფის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ სექტემბრისა—123,6 პროცენტით, ცხრა თვისა—112,5 პროცენტით; ტყავის პირველმა ქარხანამ სექტემბრისა—133,5 პროცენტით, ცხრა თვისა—121,5 პროცენტით; მაუდ-კამოლის ფაბრიკამ სექტემბრისა — 121,3 პროცენტით, ცხრა თვისა—115,6 პროცენტით; ჩაის საწონმა ფაბრიკამ სექტემბრისა—138,4 პროცენტით, ცხრა თვისა—130,4 პროცენტით და ა. შ.

წლიური საწარმოო დავალებები განადგდეს: საქართველოს ფერადი ქვის მოპოვების საწარმოებმა, სპილენძსატყეცმა ქარხანამ, ჩაის საწონმა ფაბრიკამ, მეორე და მესამე საკონდიტერო ფაბრიკებმა, კონიაკ-არაყის ქარხანამ, ლუდის მეორე ქარხანამ და თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა.

ᲓᲦᲔᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

მრავალი ათეული ათასი ყველა პროფესიისა მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი ძონენოლეკობს რუსთაველის მეტალურგიული გიგანტის — ჩვენი რესპუბლიკისა და ჩვენი თაობის სიამაყის მშენებლობაში. ყველგან — ყველა უბანზე, ყველა ობიექტზე მუშები ერთი სულისკვეთებით ებრძვიან ადფროოვანებულნი:

— შეეასრულოთ საბრძნელოსათვის მიეცემული დავრება, მეოთხე კვარტალში ავამუშაოთ თბილელექტროცენტრალი, უზრუნველყოთ საოქტომბროდ ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა განადგდება!

თბილელექტროცენტრალის მშენებლობა ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი და დადამუშავებული რუსთაველი. მშენებელთა ძმობაველი წარმატება, 1948 წლის ბოლოსათვის რუსთაველ მეტალურგიული გიგანტის მიერ პირველი პროდუქციის მოცემა დამოკიდებულია სწორად ამ მშენებლობის წესლეკ. დამთავრებაზე, მეოთხე კვარტალში თბილელექტროცენტრალის პირველი რიგის ამუშავებაზე.

ჯერ კიდევ არ ჩამდგარან მუშაობაში მეტალურგიული ქარხნის ენერგოტექნიკადი საამქროები. სამარტენო საამქროს, საგალინვე მოწყობილობებს, საკოკსე ბატარეებს აუარეული ელექტროენერგია სჭირდებათ. ელექტროდენი ახლაც მრავალი ათასი კილოვატის რაოდენობითაა საჭირო. თბილელექტროცენტრალის გასაკვებავად ტყიბულელ და ტყვარჩელელ მეშახტეებიც შეეწევიანენ ადიდებულ ქვანახშრის მოპოვებას. ყველა პირობა არის იმისათვის, რომ რუსთავეს — საქართველოს მეტალურგიის ქალაქს ადგილობრივ გამოშმეაგებელი ელექტროშუქი მოეფინოს.

ეს არის ახლა რუსთავის მშენებელთა მთავარი ამოცანა და ამიტომაც თბილელექტროცენტრალის მშენებლობას ყურადღების ცენტრში აყენებენ როგორც მშენებელთა ხელმძღვანელები, ისე პარტიის რაიონული ორგანიზაციანი, მთელი ადგილობრივი საზოგადოებრიობა.

თბილელექტროცენტრალის მშენებლობა ოქტომბერი სტახანოვური მუშაობის თვად გამოაცხადეს. მათ იკისრეს 25 ოქტომბრამდე გადაბურონ სამანქანო დანადგართა კორპუსი და ამით უზრუნველყონ მანქანათა სწრაფად დამონტაჟება. საკამელო გვირაბთა ქსელის გაყვანის დამთავრება 10 ნოემბრისათვის იკისრეს. გამაერთიანებელი გვირაბების ქსელისა — 15 ოქტომბრისათვის, წყალსაწრეტების, წყალსაფეკვებისა და გასაშვები ჭაბნის გაბრდგება — ნოემბრის ბოლოსათვის და ა. შ.

ყველა ამ ვალდებულებათა განადგდება იმას ნიშნავს, რომ თბილელექტროცენტრალის პირველი რიგი ამუშავებული იქნება გათვალისწინებულ ვადაზე და შეიქმნება ყველა პირობა საერთო საშენებელო საქმეთათა შემდგომი განვითარებისათვის.

ხსენ დაკერილი ხასიათის საშენებელო ობიექტებიც არის რუსთავში — სამრეკლე, საგალინავი, სამარტენო საამქროებისა და საალუმინაციო ფაბრიკის მშენებლობა. ბევრი შრომა, დიდი ენერგია, შრომის ორგანიზაციის სუფეთესო უნარის გამოჩენაა საჭირო, რომ ეს ობიექტები დანაშნულ ვადაზე ამუშავდნენ.

მშენებელები ახლა დაბრკოლებას განიცდიან ხე-ტყისა და მცირე დიამეტრის სარამატერო რკინეულის სიმცირით და მოწყობილობათა ნაწილის მიუღებლობით. ამ მხრივ მშენებლებს დახმარება უნდა გაუწიონ მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელებმა. მათ ეალია დროულად და შეუფერხებლად მიაწოდონ მშენებლებს პროფილტები, სამუშაო ნახაზები, ხე-ტყე და სხვა საშენი მასალა.

Д. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘᲫᲔ

ᲩᲝᲗᲘᲡ ᲛᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲜᲐᲦᲔᲡᲘᲡ

თბილისის ᲩᲝᲗᲘᲡᲮᲔᲚᲘᲡ ქარხნის ელექტრიკმა 9 ოქტომბერს, ვადამდე 2 თვითა და 21 დღით ადრე შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა. 9 ოქტომბერს ქარხნის ელექტრიკს წლიური საწარმოო დავალება შესრულებული ჰქონდა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 112,7 პროცენტით, ხოლო ნატურალური პროდუქციის გამოშვებისა 101,9 პროცენტით.

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა საბერძნეთის საკითხის გამო გენერალური ასამბლეის პირველი კომიტეტის სხდომაზე 1947 წლის 6 ოქტომბერს

1. ინგლისელი და ამერიკელი ბრალმდებლები ფაქტებს ამახინჯებენ

საბჭოთა დელეგაცია თავიდანვე წინააღმდეგი იყო, რომ გენერალურ ასამბლეაზე განხილულიყო ამერიკის დელეგაციის მიერ შემოტანილი საკითხი ეგრეთწოდებულ საფრთხეზე, რაც თითქოს საბერძნეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის მხრივ. ჩვენთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამერიკისა და საბერძნეთის დელეგაციები ამ საკითხის დაყენებისას ნამდვილად ისახავდნენ მიზნებს, რომელთაც საერთო არა აქვთ რა იმ ამოცანასთან, რომელიც ოფიციალურადაა გამოთქმული მათს წინადადებებში. ამას მთლიანად ადასტურებს ამერიკის დელეგაციის როგორც გამოსვლათა ხასიათი და შინაარსი, ისე მის მიერ კომიტეტში შეტანილი ამერიკის წინადადებათა პროექტი.

მასალების ყურადღებით შესწავლა მთელი სიცხადით ადასტურებს, რომ საბერძნეთის ჩრდილოეთელი მეზობლების წინააღმდეგ წარდგენილი პრეტენზიები და ბრალდებანი სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. ამ ეგრეთწოდებული საბერძნეთის საკითხის მთელი განხილვის დროს, მთელ რიგ ქვეყნებში, უმეტესად კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბერძნეთში, აგრეთვე ინგლისში, დღითი დღე ჰქმნიდნენ საზოგადოებრივ აზრს ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიისადმი მტრული მიმართულებით. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საბერძნეთის საზღვარზე ინციდენტების გამომკვლევი კომისია შეიქმნებოდა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მომხრე სახელმწიფოების წარმომადგენლები გამოვიდნენ უკვე ჩამოყალიბებული ბრალდებებით. ისინი გამოდიოდნენ, ლაპარაკობდნენ და მოქმედებდნენ ისე, თითქოს ყველაფერი უკვე ცხადი ყოფილიყოს და თითქოს, არსებითად, ისღა იყო საჭირო, რომ კომისიის დოკუმენტებში შეეტანათ ცნობები, რომლებიც ნამდვილად ჯერ კიდევ შესასწავლი და გამოსარკვევი იყო. ყველა ისინი — ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის წარმომადგენლები — კომიტეტში გამოდიოდნენ როგორც მესვეურნი ამ საქმისა, რომლის შესახებ გადაწყვეტილება უკვე ჯიბეში ჰქონდათ. მათ, მაგალითად, ბ-ნ მაკნეილს, საჭიროდაც კი არ მიაჩნიათ განხილულ იქნას ფაქტები ან, როგორც მაკნეილმა სთქვა, „გაეხვიონ დეტალების ბურუსში". მაკნეილის აზრით, ზოგიერთი ჩვენება გამოუსადეგარია პირველივე განხილვისას; ზოგიერთი პირი, რომლებმაც ჩვენება მისცეს, კოლაბორაციონისტი იყო; ბევრი მოწმეთაგანი რამდენადმე იძულებით მოქმედებდა. რაღა რჩება სხვა მოწმეთა წილად, თუ მოწმეთა სამი კატეგორია ისეთია, რომ არავითარი ნდობის ღირსი არ არის, ხოლო მეოთხე კატეგორიაზე, რომელიც თითქოს ნდობის ღირსია, მაკნეილმა დუმილი ამჯობინა. სდუმდნენ სხვებიც, ვინც ასეთსავე თვალსაზრისს ადგას. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვდუმდეთ მათზე და მე ვეცდები ვთქვა მათ შესახებ კონკრეტულად, შეძლებისამებრ, ზუსტად და, რამდენადაც შევძლებ, ნათლად.

ინგლისის წარმომადგენელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქმე ეს ნაკლოვანებანი როდია, რომლებიც სახელს უტეხენ კომისიის მიერ მიღებულ ცნობებს, რომ საქმე საერთოდ ფაქტები და საბუთები როდია, არამედ საქმე თვითონ კომისიაა, რომელიც აქ მაკნეილმა ქებით შეამკო უმთავრესად, მგონია, იმიტომ, რომ ამ კომისიაში იყო მისი მეგობარი, რომელიც მან აგრეთვე ქება-დიდებით მოიხსენია. ალბათ, მაკნეილის ლოგიკით ამ კარგ კომისიას შეუძლია შესცვალოს ყოველგვარი საბუთი, ცუდი საბუთებიც კი.

ამერიკის დელეგატმა ჯონსონმა თავისი სიტყვა მიუძღვნა უშიშროების საბჭოში ამერიკის დელეგაციის მოქმედების გამართლებას. თავისი პარტნიორებისაგან განსხვავებით ჯონსონი შეეხო ზოგიერთ სასაზღვრო ინციდენტს, რომლებიც თითქოს ადასტურებენ, რომ იუგოსლავია, ბულგარეთი და ალბანეთი დახმარებას უწევდნენ ბერძენ პარტიზანებს. მაგრამ ჯონსონმა ეს ინციდენტები მეტად თავისუფლად გაამუქა, დაუშვა მთელი რიგი შეცდომები და დამახინჯებანი, მიჩქმალა, რომ ანგისტრონ-ლიპაში მომხდარი ინციდენტის გამოკვლევას ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა და რომ დამხმარე ჯგუფმა მოუსმინა მხოლოდ ბერძენ მოწმეებს. მან არა სთქვა, რომ ბერძენი პარტიზანები დაუყოვნებლივ იყვნენ განიარაღებული და ინტერნირებული, რაც დაადასტურა ბულგარელმა კაპიტანმა ქივკოვმა, რომლის ჩვენებაც არავის, მათ შორის არც თვითონ ჯონსონს, არ უარუყვია.

რაც შეეხება ბერძენთა მტკიცებას საბერძნეთში ამ პარტიზანების დაბრუნების შესახებ, ამაზე დამხმარე ჯგუფს ჩვენება მისცა ოთხმა ბერძენმა მოწმემ — არვანტიდისმა, იანკოსმა, ფოტიადისმა და რახმანიდისმა. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ჩვენება არ სჩანს, არამედ მოყვანილია ამ ჩვენებათა მხოლოდ მოკლე რეზიუმე. ამ რეზიუმიდან სჩანს, რომ ზემოხსენებული მოწმეები ჰყავდათ ბულგარეთის ბერძენ ლტოლვილთა ბანაკში მას შემდეგ, რაც ისინი განაიარაღეს და ინტერნირებული იყვნენ, ამასთან არ არის ცნობა იმის შესახებ, რომ საბერძნეთში ამ გადასვლაში რაიმე მონაწილეობა მიეღოთ ბულგარეთის ხელისუფლებს.

იარაღის შესახებ ჩვენება არადამაჯერებელია. არ არსებობს არავითარი ცნობა, რომელიც ადასტურებდეს, რომ ისინი იარაღს იღებდნენ ბულგარეთის ტერიტორიაზე. თვით დამხმარე ჯგუფიც კი იძულებული იყო აღენიშნა შეუთანხმებლობა და არასიზუსტე ამ მოწმეთა ჩვენებაში. მაგალითად, მოწმე არვანტიდისმა განაცხადა, „ვერ ვიტყვი ეს საბერძნეთის ტერიტორიაზე იყო თუ ბულგარეთისაზეო". მოწმე იანკოსი აცხადებს, დარწმუნებული არა ვარ სად ნაწილდებოდა იარაღი, საბერძნეთში თუ ბულგარეთშიო. მოწმე რახმანიდისი ამბობს, იარაღი ბულგარეთში მივიღეთო, ხოლო მოწმე ფოტიადისმა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ იარაღს ბულგარეთიდან იღებდნენ, იმაზე ააგო, რომ ეს „იარაღი ახალი იყო". ასეთი წინააღმდეგობა ყოველგვარ ფასს უკარგავს ყველა ამ ჩვენებას.

მეორე მხრივ, ბულგარელი კაპიტნის ქივკოვის ჩვენებიდან სჩანს, რომ ანგისტრონ-ლიპის ინციდენტი ბერძნებმა მოაწყეს, რომლებიც ბულგარეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ, როცა სადამსჯელო ოპერაციას ახორციელებდნენ პარტიზანების წინააღმდეგ. მაგალითად, მან განაცხადა: „ჩვენ შევამჩნიეთ ბერძენი ჯარისკაცების მიმოსვლა ბულგარეთის ტერიტორიაზე, მაგრამ არ ვესროლეთ, რადგან ამის უფლება არა გვქონდაო".

ბერძენი ოფიცერი სირიოპულოსი ცდილობს გააბათილოს ქივკოვის ეს განცხადება და ამბობს, თითქოს ბულგარელი პატრული, რომელსაც იგი შეხვდა 18 აპრილს, ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. მაგრამ ბერძენი ოფიცრის ეს განცხადება აშკარად ეწინააღმდეგება ქივკოვის განცხადებას, რომელიც დამხმარე ჯგუფმა მოიყვანა ზემოთ.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს წინააღმდეგობრივი განმარტებანი და არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა, რომ ისინი ერთმანეთს შეეუთანხმოთ ან თუნდაც აეხსნათ.

ჯონსონი ლაპარაკობდა კუკა-პალაიონ-ტრეტნესის ინციდენტზე. მაგრამ მან მიჩქმალა ყველაზე მთავარი, ის, რომ მთელი რიგი მოწმეების ჩვენებით იუგოსლავიის ხელისუფლებმა განაიარაღეს საბერძნეთიდან იუგოსლავიაში გადასული პარტიზანები და გაგზავნეს ისინი არა საბერძნეთში, არამედ იუგოსლავიის შიგნით, ლტოლვილთა ბანაკში.

ყურადღებით დააკვირდით ბერძენი მოწმის მიხაილიდისის ჩვენებას და დაინახავთ, რომ პარტიზანებმა ბანაკი ღამით დასტოვეს და რომ მათ ნაბრძანები ჰქონდათ არ ელაპარაკნათ, რათა მათი ხმა არ გაეგონა იუგოსლაველ მესაზღვრეებს. სხვა ცნობები არ არსებობს და არაჩვეულებრივი ფანტაზიაა საჭირო, რათა ის დასკვნები გამოვიტანოთ, რაც ბ-ნებმა ევატმა, ჯონსონმა, მაკნეილმა, ცალდარისმა და სპააკმა გამოიტანეს.

ამრიგად, პარტიზანები საბერძნეთში გადადიოდნენ ფარულად იუგოსლავიის ხელისუფალთაგან. განა ეს საკმაოდ არ ადასტურებს, რომ იუგოსლავიის ხელისუფლებს არავითარი დახმარება არ გაუწევიათ პარტიზანებისათვის? ბ-ნ ჯონსონისათვის ხელსაყრელი არ არის შეამჩნიოს ასეთი „დეტალები" და იგი არ ამჩნევს კიდევაც.

აქვე უნდა ითქვას, რომ დამხმარე ჯგუფმა ეს ინციდენტი გამოიკვლია არა „ადგილობრივ", არამედ 10 კილომეტრზე იუგოსლავიის საზღვრიდან, რადგან მთელი ეს რაიონი პარტიზანებს ეკავათ. განა ამასთანავე ფაქტი არ არის, რომ დამხმარე ჯგუფმა ამ ინციდენტის გამოკვლევა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბერძენმა ხელისუფლებმა ამ ადგილას სადამსჯელო ოპერაციები განახორციელეს პარტიზანების წინააღმდეგ და, ამრიგად, შესაფერისი პირობები მოამზადეს ეგრეთწოდებული გამოკვლევისათვის?

სრულიად უეჭველია, თუ რას წარმოადგენს ასეთი გამოკვლევა, რასაც „ადგილობრივ" აწარმოებენ ასეთ წინასწარ, გამაფრთხილებელ, პოლიციურ-ჟანდარმულ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ.

უადგილო არ იქნება აქვე ითქვას ბ-ნ სპააკის შენიშვნის შესახებ. მან კმაყოფილება გამოსთქვა დამხმარე ჯგუფის მუშაობის გამო. მაგრამ განა აღნიშნული მოქმედება დამხმარე ჯგუფისა, რომელიც ბრძოლაში ჩაერია საბერძნეთის მთავრობის მხარეზე და ფაქტიურად ეხმარებოდა ბერძენ დამსჯელებს, არ მოწმობს, რომ ჯგუფმა უხეშად დაამახინჯა ფაქტები, დაივიწყა მიუდგომელი და ობიექტური ორგანოს მოვალეობა? ამ კითხვაზე საბჭოთა დელეგაცია დასტურით უპასუხებს: დიახ, დამხმარე ჯგუფმა უღალატა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ობიექტური ორგანოს მოვალეობას.

შეერთებული შტატების წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ ალბანეთის საზღვარზე ინციდენტის დროს კონიცის რაიონში 1947 წლის 10-12 ივლისს თითქოს ალბანეთიდან საბერძნეთში გადავიდა 8-9 ბატალიონი პარტიზანი 1.000 კაცის შემადგენლობით. მაგრამ ჯონსონმა იცის, რომ ამის გამო არის სამი ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენება. ამასთან, თურმე, ამ მოწმეებმა, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, შეამჩნიეს პარტიზანების გადასვლა საზღვარზე, როცა იმყოფებოდნენ 5-10 კილომეტრზე საზღვრიდან. ასეთ მოწმეებს მხოლოდ სასოწარკვეთილების დროს თუ შეიძლება დაუჯერონ. ზედმეტი არ არის აღინიშნოს, რომ დამხმარე ჯგუფმა ეს ინციდენტი აირჩია რიგგარეშე გამოკვლევისათვის საბერძნეთის მთავრობის განცხადების გამო საბერძნეთში „ინტერნაციონალური ბრიგადის" „მითური შეჭრის" შესახებ. ...შიშით კაცი ბევრ რამეს ჩაიდენს... მაგრამ ადგილობრივ დაკითხულმა 10 ბერძენმა მოწმემ ვერაფერი აჩვენა „ინტერნაციონალური ბრიგადის" „შეჭრის" შესახებ. მთელი მათი ჩვენება იმით ამოიწურა, რომ ზოგიერთი პარტიზანი სლავურად და ალბანურად ლაპარაკობდაო.

დამხმარე ჯგუფმა მხოლოდ აღნუსხა წინააღმდეგობანი და არც კი გაისარჯა გამოერკვია, სად არის სიმართლე და სად არის სიცრუე.

დასკვნა, რომელიც გამოიტანეს ბ-ნმა ჯონსონმა და ბ-ნმა სპააკმა, რომელიც თავდადებით იცავდა თავის ამერიკელ კოლეგას, მარტივია: დამხმარე ჯგუფმა და კომისიამ დაადასტურეს დასკვნები, რომლებიც მანამდე გამოიტანა უშიშროების საბჭოს უმრავლესობამ, ამრიგად, თუ ამას სწორად შევაფასებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ აქ უკუღმა შეაბეს ცხენი საზიდარში. უშიშროების საბჭოს კი არ გამოუტანია დასკვნები კომისიის მიერ შეგროვებული ფაქტების საფუძველზე, არამედ კომისიამ დაადასტურა დასკვნები, რომლებიც უშიშროების საბჭოს უმრავლესობამ გამოიტანა მანამდე, სანამ რაიმე ფაქტს შეაგროვებდნენ. საგულისხმო აღიარებაა.

ცხადია, მთელი ეს საქმე სრულიად ნათელია აგრეთვე ბ-ნ ჯონსონის, მაკნეილის, ცალდარისისა და სპააკისათვის. კომისიის მიერ შეგროვებული დოკუმენტები სრულიად საკმაოა გენერალური ასამბლეის განსახილველად და—რაღა საჭიროა მორცხვობა—იმ გადაწყვეტილების დასადასტურებლად, რომელიც მანამდეც უდავოდ მიაჩნდა უშიშროების საბჭოს უმრავლესობას.

ახლა კიდევ უფრო მარტივ რეცეპტს გვთავაზობენ, გამოსთქვამენ რა ეჭვს, რომ რომელიმე დამსწრეთაგანი შესძლებს გაერკვეს მთელ ამ უამრავ სასარგებლო და უსარგებლო მასალაში, მაგალითად, ბ-ნი ევატი, მოითხოვს თქვენგან თვალდახუჭულად დაამტკიცოთ ეს მოხსენება. მართლაც, კომისიის უმრავლესობამ ხომ დაამტკიცა ქვეკომისიის მასალები. უშიშროების საბჭოს უმრავლესობამ კომისიის მასალები დაამტკიცა. ახლა თქვენი ჯერია თვალდახუჭულად დაამტკიცოთ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება, ხოლო გენერალურ ასამბლეას ისღა დარჩენია, რომ დაადასტუროს კომიტეტის დამტკიცება. შესანიშნავი, თუმცა არც დიდად გონივრული მეთოდია, რომელიც გვათავისუფლებს იმისაგან, რომ ჩავუფიქრდეთ ფაქტებს, შევისწავლოთ და ანალიზი გავუკეთოთ მასალებს, ობიექტურად, დამოუკიდებლად, საკუთარი მეცადინეობით გამოვიტანოთ ესა თუ ის ლოგიკური დასკვნა. ამ მეთოდისათვის ლოგიკა ზედმეტია, აქ საჭიროა მხოლოდ უმრავლესობა, რომელსაც შეუძლია ხმა მისცეს ბ-ნი ევატის რეცეპტის თანახმად.

ყველა ეს ბრალმდებელი ერიდება შეეხოს ფაქტებს, ალბათ, იმის შიშით, რომ საბერძნეთის ჩრდილოეთელი მეზობლების სამი მთავრობის წინააღმდეგ წამოყენებული ეგრეთწოდებული საბუთები იმდენად ყალბი და უსაფუძვლოა, რომ პირველი შეხებისთანავე გაცამტვერდება. ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა, კერძოდ, ცალდარისის სიტყვამ, რომელსაც სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არ ქებათა ქებას და მადლობას იმ „ადამიანებისადმი, რომელთა გულუხვობამ პრეზიდენტ ტრუმენს შთააგონა საბერძნეთისადმი დახმარების პროგრამა". ამერიკელთა გულუხვობის ამ ქებას ბ-ნმა ცალდარისმა რამდენიმე ტირადა დაუმატა „უმცირესობის დიქტატურის" წინააღმდეგ და ჩრდილოეთელი მეზობლების წინააღმდეგ, რომლებიც თითქოს თავს ესხმიან საბერძნეთს, სადაც ვითომ სუფევს ნამდვილი დემოკრატიის პრინციპები. დროის ამაო დაკარგვა იქნებოდა ბ-ნ ცალდარისთან ვედავა ამ თემაზე. საკმაოა გავიხსენოთ აღმაშფოთებელი ფაქტები ჩაგვრისა და თეთრი ტერორისა, რაც გამეფებულია საბერძნეთში, სადაც ამის გამო დემოკრატიის ნასახიც აღარ დარჩენილა.

2. უხეში დამახინჯებანი გამომკვლევი კომისიის მუშაობაში

საბერძნეთის წარმომადგენელმა თავისი გამოსვლა დაამთავრა ალბანეთის, ბულგარეთის და იუგოსლავიის წინააღმდეგ იმ საერთო ბრალდებათა გამეორებით, რომ ისინი ცდილობენ მოსპონ საბერძნეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა.

სამი მთავარი ბრალმდებელი—ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბერძნეთის წარმომადგენელნი — მათ შეუერთდა ბელგიის წარმომადგენელი, ხოლო დღეს შეუერთდა კიდევ (ეს ჩვენ არც წინათ გვეეჭვებოდა) ბ-ნი ევატი—ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ საბერძნეთის საზღვარზე ინციდენტთა გამომკვლევი კომისიის უმრავლესობის დასკვნები დასაბუთებულია, რადგანაც ფაქტებს ემყარება და კომიტეტს ისღა დარჩენია, რომ მხოლოდ მოიწონოს კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებანი და გენერალურ ასამბლეას გადასცეს დასამტკიცებლად. მაგრამ ამ ბრალმდებელთ თვითონ კარგად ესმით და იციან, რომ კომისიას ან დამხმარე ჯგუფს არავითარი ფაქტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არ მოეპოვება, რომ კომისიის მიერ შეკრებილი ცნობები სად არ გინდა გროვდებოდა, და რომ, მაშასადამე, ამ ცნობებზე დამყარებულ წინადადებებს არ შეიძლება რაიმე ღირებულება ჰქონდეთ და ნამდვილად არც აქვთ ეს ღირებულება. ამიტომ არის, რომ ბრალმდებელნი ასე დაჟინებით არიდებენ თავს ამ ცნობების განხილვასა და გარჩევას. მაგრამ ამ ცნობების განხილვასა და შეფასებას გვერდს ვერ შევუვლით.

კომისიის მასალის შესწავლისას არ შეიძლება უწინარეს ყოვლისა ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ საკმაოდ ბევრია შემთხვევა, როცა, აშკარა ფაქტების მიუხედავად, კომისიის უმრავლესობა ცდილობდა ყველა დანარჩენი დელეგატისათვის თავს მოეხვია დასკვნები, რომლებიც ამ ფაქტებს სრულიად არ შეესაბამებიან. შემთხვევითი როდია, რომ კომისიის მუშაობის მონაწილე ორმა დელეგაციამ (კოლუმბიისა და ბელგიისამ) მათ მიერ გაკეთებულ შენიშვნაში პირდაპირ აღნიშნეს „პრეზუმფციულ ჩვენებათა ერთგვაროვნება", რომელთა მიზანი იყო იმ ბრალდებათა დასაბუთება, რაც საბერძნეთმა თავისი ჩრდილოეთელი მეზობლების წინააღმდეგ წამოაყენა.

ამ შენიშვნის უგულებელყოფა არ შეიძლება. იგი მოწმობს კომისიის მუშაობაში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას. განა ცხადი არ არის, რომ „პრეზუმფციულ ჩვენებათა ერთგვაროვნების" აღნიშვნით მხოლოდ ამ ჩვენებათა ხელოვნურობას აღნიშნავენ? აქვე მოგაგონებთ, რომ კომიტეტის წინაშე თავის განცხადებაში ბ-ნმა ცალდარისმა აღიარა, „მხოლოდ წინასწარ მომზადებული ჩვენებები არის ერთგვარიო". ეს სავსებით სწორია. მაგრამ სწორედ ამ საეჭვო ერთგვაროვნებით გაირჩევა საბერძნეთის მთავრობის მიერ გამოყვანილ მოწმეთა ჩვენების უმრავლესობა. ხსენებულ შენიშვნაში ამტკიცებენ აგრეთვე, რომ ამ ჩვენების მიზანი იყო ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის დამნაშავეობის დამტკიცება. მოწმეთა ჩვენების ასეთი დახასიათება სრულიად აქარწყლებს ამ ჩვენების, როგორც დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობას. მოწმე, რომელიც თავისი ჩვენების მიზნად ისახავს დამნაშავეობის დამტკიცებას, უეჭველია არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ობიექტურ მოწმედ, იგი ჯეროვანი ნდობით ვერ ისარგებლებს.

ცნობილია, რომ არის აგრეთვე საფრანგეთის დელეგაციის შენიშვნები. საფრანგეთის წარმომადგენელმა კომისიაში აღნიშნა, რომ მანკიერი იყო კომისიის მუშაობის თვით მეთოდი, რადგან კომისია ასცდა გზას—მტკიცედ არ დაეყრდნო ფაქტების მეთოდურ ანალიზს და საკითხების დეტალურ ჩამოყალიბებას რაიმე ფორმალური დასკვნების შეუდგენლად. არ შეიძლება ამას არ დავეთანხმოთ. კომისიის მიერ სწორედ ასეთი მეთოდის გამოყენებამ გამოიწვია, რომ კომისიის რეკომენდაციებმა სანქციათა სახე მიიღო, რადგან კომისიის უმრავლესობა გამოკვლევას კი არ ცდილობდა, არამედ ბრალის დადებას.

კომისიამ თავისი მეცადინეობა იმისაკენ კი არ მიმართა, რომ ნამდვილად და ობიექტურად გამოეკვლია ფაქტები, რაც მას ევალებოდა, არამედ იმისაკენ, რომ წარმოეთქვა სიტყვა „დამნაშავეა", გამოეტანა განაჩენი, რომელიც ფაქტებს არ ემყარება, რის უფლებაც მას არ ჰქონდა. შემთხვევითი როდია, რომ საფრანგეთის დელეგაციის შენიშვნაში შემდეგს ვკითხულობთ: „პირობები, რომლებშიც გამოკვლევა მიმდინარეობდა, შესაძლოა, ისეთი არ იყო, რომლებიც მოგვცემდნენ საშუალებას გამოგვეტანა სად იურიდიულ პრინციპებზე დამყარებული რაიმე დასკვნა. მაშინაც კი, თუ ზოგიერთ დელეგაციას შესაძლებლად მიაჩნია დასკვნების გამოტანა იზოლირებული ფაქტების საფუძველზე, ეს მეთოდი მნიშვნელოვან რისკთან არის დაკავშირებული".

როგორი შეიძლება იყოს ასეთი სარისკო მოქმედების შედეგი? არ შეიძლება არ დავეთანხმოთ საფრანგეთის დელეგატს კომისიის წევრს, რომელმაც განაცხადა, „რომ ასეთი ცალმხრივი დასკვნები აუცილებლად არასამართლიანი იქნება ცალკეული დაინტერესებული მხარეების მიმართ და გამოიწვევს უშიშროების საბჭოს დეზორიენტაციას", რომ „პირობები არ იყო ხელსაყრელი მოწმეთა ჩვენების მისაღებად ორგანოს შექმნისათვის ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით" და რომ „თუ ჩვენ გამოვიტანთ დასკვნას, რომელიც საკმაოდ დასაბუთებული არ იქნება იურიდიული თვალსაზრისით, ამით გავართულებთ უმისოდაც კრიზისულ მდგომარეობას, შევლახავთ სრულიად ბუნებრივ გრძნობიერებას, რასაც აუცილებლობა არ მოითხოვს".

კიდევ ერთი ციტატა საფრანგეთის შენიშვნიდან: „საქმის ნამდვილი ვითარება, რომელსაც ჩვენი გამოკვლევა შეეხო, ერთობ რთულია; ფაქტები ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით მეტად არასაკმაოდაა გამორკვეული და ადვილად ვერ გამოვიტანთ ნათელ და გარკვეულ მსჯელობაზე დამყარებულ გადაწყვეტილებას, რომელშიც იქნება იმის ზუსტი და მიუდგომელი განსაზღვრა, თუ რა ბრალი მიუძღვის ორივე მხარეს".

ამრიგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ კომისიის იმ ექვსი წევრის მუშაობა, რომლებსაც კომისიის უმრავლესობას უწოდებენ, სრულიად არადამაკმაყოფილებელია, როგორც მის მიერ შეკრებილი ცნობების, ისე ამ ცნობების შეფასების, მით უმეტეს იმ დასკვნების მხრივ, რომლებიც კომისიამ ამ ცნობების საფუძველზე გააკეთა. ეს მუშაობა არავითარ შესაძლებლობას არ იძლევა გამოვიტანოთ ის საბოლოო დასკვნა, რაც, მიუხედავად ამისა, გამოიტანა ამერიკის დელეგაციამ, როცა წარმოადგინა თავისი წინადადებანი იმის შესახებ, თითქოს ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის მხრივ რაღაც მოჩვენებითი საფრთხე ემუქრება საბერძნეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ნათქვამიდან რა დასკვნები გამოდის თავისთავად?

პირველი დასკვნა. იმ მეთოდმა, რომელიც კომისიამ თავის მუშაობაში გამოიყენა, ვერ უზრუნველჰყო საქმისადმი ობიექტური მიდგომა და ის გამოიწვია, რომ კომისია მოქმედებდა არა როგორც საგამომძიებლო, არამედ როგორც ბრალმდებელი ორგანო.

მეორე დასკვნა. პირობები, რომლებშიც გამოკვლევა სწარმოებდა, არ იძლეოდა „სად იურიდიულ პრინციპებზე" დამყარებული დასკვნების გამოტანის საშუალებას, როგორც სრულიად სწორად აღინიშნა საფრანგეთის წარმომადგენელმა. სხვანაირად რომ ვთქვათ, კომისიის მუშაობაში არ ყოფილა დაცული ძირითადი მოთხოვნა, რომელიც წარედგინება ყოველ კეთილსინდისიერ გამოკვლევას, მოთხოვნა, რომ ფაქტები წარმოდგენილი ყოფილიყო ზუსტად და სრულად, არ ყოფილიყო დამახინჯება და წინასწარ შედგენილი პოლიტიკური აზრი.

მესამე დასკვნა. კომისიის მიერ მოყვანილი მასალა საფუძველს არ იძლევა იმ დასკვნებისათვის იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მიმართ, რომლებიც კომისიის ეგრეთწოდებულმა უმრავლესობამ გამოიტანა. კომისიის ეს უმრავლესობა, გარდა ამისა, შეგნებულად ჩქმალავს იმ ფაქტებს, რომლებიც საბერძნეთის მთავრობას ამხილებენ, როგორც ბალკანეთში შექმნილი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზს. ამ სამ დასკვნას კომისიის უმრავლესობა უნდა მიეყვანა მეოთხე დასკვნამდე, სახელდობრ იმ დასკვნამდე, რომ საბერძნეთის მთავრობის მიერ წამოყენებული ბრალდებანი, რომლებსაც ასეთი უკეთ გამოსაყენებელი ენერგიით უჭერენ მხარს, როგორც ამას ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ბელგიის წარმომადგენელნი სჩადიან,—დადასტურებული არ არის და იმის საფუძველს არ იძლევა, რომ ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის მთავრობებს რაიმე პრეტენზია წარედგინოთ. პირიქით, საკმაო მასალა მოიპოვება იმისათვის, რომ ბრალდება წარედგინოს საბერძნეთის მთავრობას.

3. სამოქალაქო ომი საბერძნეთში და შეერთებული შტატები

სსრ კავშირისა და პოლონეთის დელეგაციებმა სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანეს. საბჭოთა დელეგაცია იმ აზრისაა, რომ ძირითადი ფაქტორი, რომელმაც დაძაბული მდგომარეობა გამოიწვია საბერძნეთის ჩრდილოეთ მოსაზღვრე რაიონებში, რასაც საბერძნეთის სამხედრო ხროვა იყენებს იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის წინააღმდეგ პროვოკაციული მოქმედებისათვის, არის საბერძნეთის საშინაო მდგომარეობა, მწვავე ბრძოლა ბერძენ ხალხსა და საბერძნეთის მთავრობის გარშემო დაჯგუფებულ ანტიდემოკრატიულ ძალებს შორის, მთავრობისა, რომელსაც მხარს უჭერენ ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს რეაქციული წრეები. საბერძნეთის ჩრდილოეთ რაიონებში შექმნილი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად საბერძნეთის საშინაო საქმეებში უცხოელთა ამ ჩარევის შედეგია. ამ ჩარევას იყენებენ საბერძნეთის ანტიდემოკრატიული ძალები, რომლებიც გაერთიანებული არიან ფაშისტ ოკუპანტებთან თანამშრომლობით სახელგატეხილი ელემენტების გარშემო. სწორედ ეს აძნელებს საბერძნეთსა და მის მეზობელ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.

ასეთ დასკვნამდე მივყავართ მრავალრიცხოვან ფაქტებს, რომლებიც ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის, ფაქტებს, რომლებიც ადვილად შეეძლო გენერალური ასამბლეისათვის წარმოედგინა საბერძნეთის საზღვარზე ინციდენტთა გამომკვლევ კომისიას, მას რომ ელემენტარული ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით ემოქმედნა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველნაირად ცდილობდა მიეჩქმალა ეს ფაქტები და საბერძნეთის საზღვრებზე შექმნილი მდგომარეობა წარმოესახა იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთისათვის არახელსაყრელად, კომისიამ ეს ვერ შესძლო, რადგან, საქმისადმი ტენდენციური დამოკიდებულების მიუხედავად, იგი ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა ისეთ მასალას, რომელიც თავისთავად მეტყველებდა და რომლის სრული უგულებელყოფა ყოვლად შეუძლებელი იყო.

ეს ფაქტები იმდენად აღმაშფოთებელი აღმოჩნდა, რომ კომისია იძულებული გახდა, მაგალითად, საბერძნეთის ბრალდებათა პასუხად მრავალი სასაზღვრო ინციდენტის თაობაზე, ეღიარებინა ასეთ ბრალდებათა უსაფუძვლობა. ამაზე კომისიის დასკვნებში ნათქვამია, რომ „მისთვის არ წარუდგენიათ დამაჯერებელი საბუთები, რომლებშიც ნაჩვენები ყოფილიყო, რომ საზღვრების დარღვევა, რაც დაკავშირებული არ არის პარტიზანების მოქმედებასთან, განზრახ გამოიწვიეს ჩრდილოეთი ქვეყნების მთავრობებმა ან საბერძნეთის მთავრობამ, ან რომ თვითეული მხარე აწარმოებდა სისტემატური პროვოკაციების პოლიტიკას, ანდა რომ ინციდენტები თავის თავად წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის აგრესიული ზრახვების დამამტკიცებელ საბუთს".

განა კომისიის ეს დასკვნა არ უარჰყოფს იმას, რომ იუგოსლავიას, ალბანეთსა და ბულგარეთს ბრალი მიუძღვით სასაზღვრო ინციდენტებში? განა კომისიამ, მიუხედავად თავისი მუშაობის ძნელი პირობებისა, რომლებსაც უმთავრესად ახასიათებს პოლიტიკური ვითარება, რაც მას ხელ-ფეხს უბორკავს, არ სთქვა, რომ არ არის წარმოდგენილი იმის დამაჯერებელი მასალა, თითქოს იუგოსლავია, ალბანეთი და ბულგარეთი პროვოკაციით იწვევდნენ ამგვარ ღონისძიებებს და რომ, მაშასადამე, საზღვარზე მომხდარი ინციდენტები არ მოწმობენ ამ ქვეყნების აგრესიულ განზრახვებს? მაშ რაღა რჩება იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მიმართ ამ ფართოდ რეკლამირებული ბრალდებებისაგან, რომ ისინი მხარს უჭერენ საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართულ რაღაც აგრესიულ განზრახვას? არაფერი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სასაზღვრო ინციდენტთა დიდი უმრავლესობა არ არის დაკავშირებული პარტიზანთა მოქმედებასთან. ამრიგად, 98 სასაზღვრო ინციდენტიდან, რომლებშიც საბერძნეთი ბრალსა სდებს სამ მეზობელ ქვეყანას, მხოლოდ 12 ინციდენტია დაკავშირებული ალბანეთიდან, ბულგარეთიდან და იუგოსლავიიდან საბერძნეთში პარტიზანთა ჯგუფების ვითომდა გადასვლასთან. მაშასადამე, კომისიის უმრავლესობის ზემოაღნიშნული დასკვნა სხვა არა არის რა, თუ არ თავისი უსუსურობის აღიარება.

მაგრამ ეს ინციდენტებიც კი, რომლებსაც პოლიტიკური ხასიათი არა აქვთ, შეიძლებოდა მნიშვნელოვანწილად თავიდან აცდენილი ყოფილიყო, საბერძნეთის ხელისუფალთ სათანადო დაინტერესებულობა რომ გამოეჩინათ, მაგრამ ამის თქმა მათ შესახებ სრულიადაც არ შეიძლება.

კომისიას არ შეეძლო უარეყო ის ფაქტიც, რომ ბულგარეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1946 წლის გაზაფხულზე, ესე იგი თითქმის წელიწადნახევრის წინათ, განაცხადა, რომ მზად არის კვლავ აამოქმედოს საბერძნეთ-ბულგარეთის 1931 წლის სასაზღვრო შეთანხმება, რომლის მოქმედებაც ომმა შესწყვიტა, და თხოვნით მიმართა საბერძნეთის მთავრობას შეესრულებინა ეს ოქმი, თუნდაც საჭირო ცვლილებით. მაგრამ საბერძნეთის მთავრობამ პასუხი არ გასცა ამ წინადადებაზე, მოიმიზეზა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობა. განა ეს გარემოება არ მოწმობს ბულგარეთის მთავრობის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებას საბერძნეთის მიმართ და, პირიქით, საბერძნეთის ისეთ მისწრაფებას ბულგარეთის მთავრობის მიმართ, რომელიც ნაკლებად ჰგავს მშვიდობისმოყვარეობას?

ამიტომ სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს ბ-ნ ცალდარისის განცხადება, რომ „საბერძნეთში მშვიდობა და მყუდროება მხოლოდ მაშინ აღდგება, როცა ბოლო მოეღება იერიშებს ჩრდილოეთიდან".

ცალდარისის მთავრობის წინააღმდეგ იერიშები მთელ საბერძნეთში სწარმოებს. სამოქალაქო ომი საბერძნეთში გაჩაღებულია მთელ საბერძნეთის ტერიტორიაზე, იგი მოედო ჩრდილოეთ საზღვრებს, ყველაზე უფრო დაშორებულ რაიონებს, როგორიცაა პელოპონესი და კუნძულები. ეს ომი არის ჩრდილოეთ საბერძნეთის იმ არეულობის მთავარი მიზეზი, რომელიც აიხსნება საბერძნეთში არსებული არანორმალური შინაპოლიტიკური მდგომარეობით.

ყოველ ეჭვს გარეშეა, საბერძნეთის მთავრობის მიერ ნაციონალურ უმცირესობათა და პოლიტიკურ ოპოზიციურ ჯგუფთა საშინელი დევნის ფაქტი. კომისია იძულებული იყო ეღიარებინა ეს და აღენიშნა საბერძნეთში „გაფთრებისა და შურისგების ატმოსფერო", რაც ნამდვილად ნიშნავს ფაშისტური ტერორის თარეშს, რომელიც საბერძნეთში მძვინვარებდა, მძვინვარებს ამჟამად და რომელიც იმ საშიში მდგომარეობის ნამდვილ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც საბერძნეთი აღმოჩნდა. ეს უდავო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა შინაგან კრიზისს განიცდის საბერძნეთი, უეჭველად საკმარისია, რათა სწორედ აქ, საბერძნეთის შინაპოლიტიკური ურთიერთობის სფეროში, ვეძებოთ საბერძნეთის კრიზისის დაძლევის საშუალებანი.

ეჭვი არ არის, რომ ეს კრიზისი ღრ-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა საბერძნეთის საკითხის გამო გენერალური ასამბლეის პირველი კომიტეტის სხდომაზე 1947 წლის 6 ოქტომბერს

(გაგრძელება)

...ბანია სავსებით დაძლეული იქნებოდა და ბერძენი ხალხი შესძლებდა თავისი მორალური და მატერიალური ძალების სრული გამოყენებით შესდგომოდა თავისი ქვეყნის ომისშემდგომი აღდგენის საქმეს, ამას რომ ხელს უშლიდეს უცხოელთა ჩარევა — ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ჩარევა, რომელსაც ახლა სცვლის ამერიკის შეიარაღებული ძალების ჩარევა. ...

ხელისუფალთა თათბირი ამერიკისა და ინგლისის სამხედრო მისიათა წარმომადგენლების, სამხედრო და სხვა საკითხებში ამერიკელ ექსპერტთა მონაწილეობით. ნაციონალური ეკონომიკის სამინისტროს განაგებს ამერიკელი ექსპერტი ლოუნსონი. იგი არის აგრეთვე საგარეო ვაჭრობის საკითხთა შერეული კომისიის თავმჯდომარე. მის დაუკითხავად ბერძნებს უფლება არა აქვთ რაიმე შესყიდვა აწარმოონ საზღვარგარეთ. სახელმწიფო ხაზინას ამერიკელი ექსპერტები განაგებენ; ...

ოდნენ საბერძნეთის მთავრობის მეთაურები, რომლებიც მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰყვიროდნენ, საბერძნეთისათვის დახმარების გაწევის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ საბერძნეთი ყოველგვარი დოვლათით აივსებაო? ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილის აჩესონის სიტყვიდან ცნობილია, რომ ამერიკის დახმარების მთელი თანხიდან 50 მილიონი დოლარი გამოყო...

...ითადი მამოძრავებელი არიან“. ...მდგომარეობა ამ მხრივ კი უფრო გამწვავდა. ამერიკის ხელისუფლებმა 1 სექტემბრიდან იკისრა საბერძნეთის არმიის, ჟანდარმერიისა და პოლიციის მომარაგება. გაწყვეტლივ სწარმოებს საბერძნეთის...

...ლოო გადასვლა ამერიკის შეერთებული შტატების სრული კონტროლის ქვეშ. მოახდინა თუ არა ამან რამდენადმე კეთილმყოფელი გავლენა საბერძნეთის ეკონომიურ მდგომარეობასა და ბერძენი ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე, როგორც პირობას იძლე...

...ლითად, ბრინჯის ფასი 8-ჯერ გადიდდა ორი თვის განმავლობაში. ეს გასაკვირველიც არ არის, ვინაიდან ბრინჯი, შაქარი, ერბო-კარაქი, ფქვილის ნაკეთობანი — ყველაფერი ეს სპეკულანტების, გადამყიდველებისა და მაკლერების ხელშია.

4. ხალხის საწინააღმდეგო ბლოკების დამცველები

...მინდა შევჩერდე ბ-ნ სპააკის სიტყვაზე, რომელმაც მთელი თავისი ორატორული ხელოვნება მოანდომა იმას, რომ ...თი მხრივ ყველა მომაკვდინებელი ...დვა დაეწამებინა იუგოსლავიის, ...ლგარეთისა და ალბანეთისათვის და ...რე მხრივ ცალდარისის მთავრობა ...სახა მშვიდობის წყნარი ანგელოზის ...თ. ალბათ იმიტომ, რომ უფრო ადვილად გასწორებოდა თავის მოწინააღმდეგეებს, ბ-ნმა სპააკმა გააჩაღა დავა...

კრიტიკის „ერთგვარმა გაუბათილებელმა ზომამ“ და მისმა სამაგალითო ქცევამ ამ საკითხში შეიძლება მხოლოდ სრული მოწონება და ქება გამოიწვიოს მის მიერ მოხსენებულ მაღალ მფარველთა მხრივ. ყველაფერი ის, რაც ბ-ნმა სპააკმა სთქვა, ხომ ეჭვს არ სტოვებს, რომ იგი იწონებს ამერიკელებისა და ინგლისელების ჩარევას საბერძნეთის საშინაო საქმეებში და ამასთანავე ამტკიცებს, რომ ეს არ ეწინააღმ...

...ყოფებად წინ დაიძრნენ და სროლა აუტეხეს მოიერიშე კომუნისტებს...“

აი რა წესრიგს იცავენ საბერძნეთში ბრიტანეთის ჯარები ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრების ბრძანებით და იწონებს ბელგიის პრემიერ-მინისტრი.

ახლა ყოველმა კეთილსინდისიერმა და პირუთვნელმა ადამიანმა გვიპასუხოს, საბერძნეთში ბრიტანეთის ჯარების ეგრეთწოდებული ყოფნა განა სხვა რაიმეს ნიშნავს, თუ არ ამ ჯარე...

...აქ ერთი რამ არის საერთო: ეს არის შიში იმ საზოგადოებრივი ძალების მძაფრი ზრდის წინაშე, რომლებსაც ახალი ჭეშმარიტი დემოკრატიის განმტკიცებისაკენ მივყევართ. აი რა არის განრისხების წყარო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

მეურვეობის კომიტეტში

№ 4 (მეურვეობის) კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მიმდინარეობდა საერთო დისკუსია დროებითი სპეციალური კომიტეტის მოხსენების გამო არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის თაობაზე. ასეთი ინფორმაცია, წესდების საფუძველზე, უნდა წარმოადგინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა, რომლებიც პასუხს აგებენ იმ ტერიტორიების (კოლონიების) მართვისათვის, რომელთა ხალხებს ჯერ სრული თვითმმართველობისათვის არ მიუღწევიათ.

დისკუსიის მსვლელობაში გამოვლინდა კოლონიურ სახელმწიფოთა ბლოკის საფუძვლიანი ...გეული ტენდენცია—ხელი შეუშალონ...

...არის, ამასთან იმ დასკვნას აკეთებდა, რომ საჭირო არ არის აჩქარდეთ კოლონიური ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საქმეში. „არავითარი საფუძველი არ მოიპოვება ვამტკიცოთ,—სთქვა მან,—რომ კოლონიური ხალხები სწორედ იმიტომ არიან უკმაყოფილონი, რომ ისინი კოლონიური ხალხები არიან“.

შემდეგ ბრიტანეთის დელეგატი „ამტკიცებდა“, „ნაციონალური დამოუკიდებლობა დაკავშირებული არ არის პირად თავისუფლებასთანო“ და სხვა. პოინტონმა მოუწოდა დელეგატებს არ ერწმუნონ ბრიტანეთის კოლონიებში გამომავალი გაზეთების ცნობებს, როცა ისინი სწერენ, რომ ბრიტანელი იმპერიალისტები საგ...

...ლი ერების ორგანიზაციის წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებანი და კანცელარიულ მიმოწერად გადააქციონ ეს ვალდებულებანი. ინფორმაცია არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ არა მარტო უნდა გაეგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, არამედ კიდევაც შესწავლილ უნდა იქნას ამ ორგანიზაციის მიერ, ამასთან ამ შესწავლის თან უნდა ახლდეს შესასწავლი მასალის შეფასება და პოლიტიკური დასკვნები.

შტეინი შეეხო წარსადგენი ინფორმაციის ხასიათს და განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია საჭიროდ მიაჩნია, რომ ინფორმაცია არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ შე...

პრესისა და ინფორმაციის თავისუფლების საკითხთა კონფერენციის დღის წესრიგის შესახებ

...წინააღმდეგ იერიშები განახლდა. საფრანგეთის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი „იზიარებს საბჭოთა დელეგაციის გრძნობას“, მაგრამ, არსებითად სწორად სცნო რა საბჭოთა წინადადებანი, მან ამავე დროს წინადადება წამოაყენა — მიღებულ იქნას მათგან მხოლოდ ისინი, რომლებიც მან დაახასიათა, როგორც ტექნიკური, ხოლო დანარჩენი წინადადებანი, როგორც პოლიტიკური, განსახილველად გადაეცეს პირველ კომიტეტს.

ინგლისის დელეგატმა დევისმა თავისი ვრცელი სიტყვა მიუძღვნა რეზოლუციის პროექტის საბჭოთა წინადადებების გაყოფას „უნივერსალურ“ და „არაუნივერსალურ“ წინადადებებად. მან განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაცია ეთანხმება საბჭოთა რეზოლუციის მრავალ პუნქტს, ხოლო ამავე დროს წინადადება წამოაყენა — შესწყდეს მსჯელობა და რეზოლუცია განსახილველად გადაეცეს მომავალ კონფერენციას.

უცნაური კილო გაისმა ბელგიის დელეგატის გამოსვლაში. ამ დელეგატმა ჯერ განაცხადა, რომ პრინციპულად ეთანხმება რეზოლუციის ბევრ პუნქტს, ხოლოს კი იქამდე მივიდა, რომ ცდილობდა გამოსარჩლებოდა ახალი ომის პროპაგანდისტებს იმ საბაბით, თითქოს მთავრობებს უფლება აქვთ „დაარზმონ“ თავიანთი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი „თავდაცვის მიზნით ომის მოსამზადებლად“.

ამ მოსაზრებებისაგან არ განსხვავდებოდა ავსტრალიის, ურუგვაისა და სხვა დელეგატების გამოსვლები. ჩინეთის დელეგატი განსახილველი რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდა. აგრეთვე წინადადება წამოაყენა არ მიიწვიონ კონფერენციაზე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა. საბჭოთა დელეგატმა ზორინმა თავის გამოსვლაში ცხადჰყო იმ პროცედურული ხრიკების უსუსურობა, რომლების საშუალებითაც კომიტეტში ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ საბჭოთა რეზოლუციის პროექტი უარეყოთ ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე სხვა ორგანოსათვის გადაეცათ. ზორინი შეეხო ამერიკის დელეგატის გამოსვლას და სთქვა, რომ მასში გამოხატულება ჰპოვეს არგუმენტებმა, რომლებიც გავრცელებულია ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულ წრეებში და მიმართულია რეაქციული და აგრესიული ძალების გავლენისაგან ნამდვილად თავისუფ...

...ვე პასუხისმგებლობის გრძნობას და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ჯიბის ინტერესებით ხელმძღვანელობენ“. ინგლისურ გაზეთ „დეილი ჰერალდის“ ყოფილმა რედაქტორმა ფ. ვილიამსმა თავის წიგნში „პრესა, პარლამენტი და ხალხი“ ცხადჰყო, რომ ინგლისის მთავრობა ომის წინ არწმუნებდა გაზეთებს, „ჰიტლერის პოლიტიკისა და ნაცისტური მხეცობის აშკარა კრიტიკა... ნაციონალურ ინტერესებს ეწინააღმდეგებაო“. ვილიამსის ღიარებით, ამ ცდებს „ხშირად წარმატება მოჰყვებოდა“. ინგლისის თანამედროვე გაზეთები, ვილიამსის სიტყვით, კომერციული საწარმოები გახდნენ, ხოლო ჟურნალისტები „იქცევიან ხელოსნებად, რომლებსაც ქირაობენ, რათა ამზადონ ნაწარმი, რასაც მოგება მოაქვს, თითქოს საქმე ზისკვიტის ან საპნის წარმოებას ეხებოდეს“.

ზორინმა მოიყვანა აგრეთვე სხვადასხვა ამერიკელი ავტორების ცნობები იმის შესახებ, რომ ამერიკული პრესა მონოპოლიზებულია მცირერიცხოვანი მსხვილი კონცერნების მიერ. „მაშ პრესის რა თავისუფლებაზეა ლაპარაკი?“ —სთქვა მან. ზორინი შეეხო ბელგიის დელეგატის გამოსვლას და სთქვა: „ბელგიის დელეგატი ამბობდა, ვერ გამიგია, რა ომის თავიდან აცილებაზეა ლაპარაკიო. როცა ომზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს აგრესიული ომი, როგორც ცნობილია, თავისი ქვეყნის დაცვისათვის საჭირო არ არის აგრესიული თავდასხმის წაქეზება. ეტყობა, ეს პუნქტი ეხება ან თვითონ ბელგიის დელეგატს, ან ვინმე მის მეგობართაგანს. მე არ შემიძლია ვაიძულო იგი იბრძოლოს ომის პროპაგანდის წინააღმდეგ. მას შეუძლია იბრძოლოს ან არ იბრძოლოს ომის პროპაგანდის წინააღმდეგ, ეს მისი საქმეა. მაგრამ რატომ ცდილობს იგი ყველა ჩვენგანს აალებინოს ხელი ახალი ომის წაქეზების წინააღმდეგ ბრძოლაზე?“.

დასასრულ ზორინმა სთქვა, რომ საბჭოთა დელეგაციას განსახილველი რეზოლუცია მიაჩნია გენერალური ასამბლეის მნიშვნელოვან აქტად, რომელმაც უნდა დაადასტუროს გენერა...

...ლისა, რომელსაც ემსახურება საბჭოთა რეზოლუცია. ზორინმა რწმენა გამოსთქვა, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ ამ ამოცანას, თუ ნამდვილად გვსურს ვიბრძოლოთ დემოკრატიისა და პროგრესისათვის, თუ ნამდვილად წინააღმდეგი ვართ აგრესიისა, წინააღმდეგი ვართ ახალი ომებისა და კაცობრიობის ტანჯვისა“.

შეეხო რა ინგლისისა და ამერიკის დელეგატების განცხადებებს „თავისუფლების“ შესახებ, რომლითაც პრესა მათს ქვეყნებში სარგებლობს, ზორინმა მოიყვანა ამ ქვეყნების ცნობილ სა...

...სა და ინფორმაციის ისეთი თავისუფლებისათვის საბრძოლველად, რომელიც მიმართული იქნება მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრული თანამშრომლობის საქმის განსამტკიცებლად, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ფაშიზმის ნაშთების წინააღმდეგ.

უკანასკნელი გამოვიდა ეგვიპტის დელეგატი, რომელმაც წინადადება წამოაყენა მუხლობრივად ეყაროს კენჭი რეზოლუციის საბჭოთა პროექტს. კამათის გაგრძელება და საბჭოთა რეზოლუციისათვის კენჭისყრა მოხდება 6 ოქტომბერს.

საბერძნეთის საკითხის განხილვა

...შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის დელეგატმა ჯონსონმა განაცხადა, ამერიკის დელეგაცია მზად არის უარი სთქვას იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთისათვის წაყენებულ ბრალდებებზე, თუ ისინი დათანხმდებიან...

...სთვლის... ამერიკის დელეგაციის წრეებში, — ნათქვამია შემდეგ სააგენტოს ცნობაში, — განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ზუსტად არ იცავენ საბერძნეთის კომისიის შესახებ თავიანთი რეზოლუციის...

...ამერიკის დელეგაციამ და მისმა ადვოკატებმა ვერც ის შესძლეს, რომ დაემტკიცებინათ უსაფუძვლო ბრალდებანი, რაც მათ საბერძნეთის ჩრდილოეთ მეზობლებს წაუყენეს, ვერც ის, რომ უარეყოთ საბერძნეთის საქმეებში ინგლისისა და ამერიკის უხეში ჩარევის მრავალი დამამტკიცებელი საბუთი, რაც კომიტეტში მოიყვანეს სსრ კავშირის და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

...მოწოდებულია დაფაროს საბერძნეთის საშინაო საქმეებში ინგლისისა და ამერიკის ჩარევა, რაც დღითიდღე ძლიერდება).

იუნაიტედ პრესის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ კომპრომისზე დათანხმდნენ საბერძნეთის საკითხში და შეარბილონ თავისი მკვეთრი რეზოლუცია, რომელიც იუგოსლავიას, ალბანეთსა და ბულგარეთს აგრესორებად...

...ციის ზოგიერთი დელეგატი და მრჩეველი იმის მომხრეა, რომ მოიხსნას ბრალდება აგრესიის შესახებ“.

სავსებით აშკარაა, რომ ვითომდა კომპრომისზე ლაპარაკი დაიწყეს გარკვეული მიზნით — ერთის მხრივ იმისათვის, რომ რამდენადმე შეანელონ საბერძნეთის ჩრდილოეთ მეზობელთა...

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

(გაგრძელება)

წინააღმდეგ ამერიკის დიპლომატიის უშედეგო იერიშის შთაბეჭდილება, ხოლო მეორე მხრივ იმისათვის, რომ ვითომდა კომპრომისს ამოეფარონ და მიაღწიონ გადაწყვეტილების მიღებას „სასაზღვრო კომისიის" შექმნის შესახებ, რაც ამერიკელებს თავიანთი ექსპანსიონისტური გეგმების განსახორციელებლად ესაჭიროებათ.

ამერიკის დელეგაციის მანევრები სავსებით გამოააშკარავა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის დღევანდელმა გამოსვლამ პოლიტიკურ კომიტეტში. როგორც ასამბლეის წრეებში აღნიშნავენ, ეს გამოსვლა საბერძნეთის საკითხზე გამართული მთელი დისკუსიის ცენტრალური მომენტი იყო. თავის ბრწყინვალე, ძლიერ დასაბუთებულ სიტყვაში ვიშინსკიმ ფართო ანალიზი გაუკეთა საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე შექმნილი სიტუაციის გამომკვლევი კომისიის მოხსენებას, მისი დამხმარე ჯგუფის მოხსენებას, აგრეთვე ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და მთელი რიგი სხვა დელეგატების გამოსვლებს. მან მთლად დაანგრია საბერძნეთის ჩრდილოეთ მეზობლებისათვის წაყენებულ მოჭორილ ბრალდებათა ხუხული. ამავე დროს ვიშინსკიმ სრულიად უცილობლად დაამტკიცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის აშკარა ჩარევა საბერძნეთის საქმეებში.

ვიშინსკიმ ცხადჰყო, რომ ამერიკის დელეგაციის ზოგიერთი ადვოკატის მიერ, კერძოდ სპააკის მიერ, წამოწყებული ლაპარაკი ეგრეთწოდებულ „კომპრომისულ" გადაწყვეტილებაზე, რასაც ბანი მისცა ამერიკის დელეგატმა ჯონსონმა, მხოლოდ ფანდია, და მტკიცედ მოითხოვა საბერძნეთის საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა. ამ საკითხის სამართლიანი გადაწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ უცხოეთის ჯარების გაყვანა საბერძნეთიდან და იქიდან ყველა სამხედრო და სხვა „ექსპერტების" მოშორება, რომლებიც საბერძნეთის საშინაო საქმეებში ერევიან და ამერიკის სამხედრო პლაცდარმად აქცევენ მას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციებმა დღევანდელ სხდომაზე თავიანთი პოზიციის დასახმარებლად დარაზმეს ბრიტანეთის სამი დომინიონის — ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა და კანადის წარმომადგენლები. ავსტრალიის დელეგატი ევატი დაჟინებით მოითხოვდა, რომ კომიტეტი განსახილველი საკითხის არსს კი არ ჩასწვდეს, არამედ დაუჯეროს გამომკვლევი კომისიის უმრავლესობის დასკვნას და მექანიკურად გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ დასკვნის მიხედვით. რაკი ვერ შესძლო რაიმე ეთქვა იმ აშკარა ფაქტის წინააღმდეგ, რომ ხსენებული დასკვნა ცრუმოწმეობასა და ისეთ ჩვენებაზეა დამყარებული, რაც ზოგიერთმა ადამიანმა საბერძნეთის საპყრობილეებში წამების შედეგად და სიკვდილის შიშით მისცა, ევატმა განაცხადა, რომ ...მხოლოდ კომისიას შეიძლება ჰქონდეს უფლება გადაწყვიტოს ის საკითხი, თუ რამდენად „კეთილხარისხოვანია" ესა თუ ის ჩვენება.

— რომელ თქვენგანს შეუძლია, ბატონებო, წაიკითხოს კომისიის მთელი მასალა?—იკითხა მან.—მე ვამტკიცებ, რომ კომისია საკმაოდ ავტორიტეტული ორგანოა. მან დაადასტურა (?) ის ფაქტები. თუ მაინც არის სადავო ჩვენება, ჩვენთვის ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ მივიღოთ გამომკვლევი კომისიის დასკვნები. თვითონ ასამბლეა ვერ იმოქმედებს, როგორც საგამომძიებლო ორგანო.

ევატმა მთელი თავისი მჭევრმეტყველება აამოქმედა, რომ გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, რომლებიც უხეშად ერევიან საბერძნეთის საქმეებში. „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთზე ეჭვის მიტანა არ შეიძლება",—განაცხადა მან.

თუმცა ევატმა განაცხადა, რომ ავსტრალიის წარმომადგენელი გამომკვლევ კომისიაში მოქმედებდა როგორც... გაერთიანებული ერების მთელი ორგანიზაციის წარმომადგენელი, მაგრამ ამით მის სიტყვას სრულიადაც არ შემატებია დამაჯერებლობა. პირიქით, ასეთ განცხადებას არ შეეძლო ერთგვარი გაკვირვება არ გამოეწვია. განა ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრი მეტად არ აზვიადებს თავის რწმუნებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრის სახელით რომ ცდილობს აზრის გამოთქმას?

დარბაზში მყოფებმა ყურადღება მიაქციეს საგულისხმო დეტალს: დაამთავრა თუ არა სიტყვა, ევატმა მიირბინა ამერიკის დელეგაციის წევრ დალესთან, იმ აშკარა განზრახვით, რომ გაეგო, თუ რა შთაბეჭდილება დასტოვა მისმა ადვოკატურმა სიტყვამ. დალესმა მოწონების ნიშნად მხარზე ხელი მოუთათუნა მლიქვნელ ავსტრალიელ მინისტრს.

ინგლის-ამერიკის პოზიციის დასაცავად ქარაფშუტული, უშინაარსო სიტყვა წარმოსთქვა სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატმა. მან გაიმეორა გაცვეთილი ბრალდებანი საბერძნეთის ჩრდილოეთ მეზობლების მიმართ ისე, რომ ერთი საბუთიც არ მოუყვანია ამ ბრალდებათა დასამტკიცებლად, არამედ მხოლოდ დაუსაბუთებლად განაცხადა, ეს ბრალდება „საეჭვო არ არისო". ამნაირადვე ილაპარაკა კანადის დელეგატმა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირისა და კანადის დელეგატებმა ვერ გაბედეს მხარი დაეჭირათ ამერიკის რეზოლუციის თავდაპირველი პროექტისათვის, მათ მხოლოდ აზრი გამოსთქვეს ამერიკის პროექტისა და მასში საფრანგეთის მიერ შეტანილი შესწორების მიღების სასარგებლოდ.

პარაგვაის წარმომადგენელმა თავს ნება მისცა უხეშად გალაშქრა ჩრდილოეთელ მეზობელთა წინააღმდეგ. მისი მტკიცებით, საბერძნეთისადმი ამერიკის ეგრეთწოდებული „დახმარება" და საბერძნეთის ტერიტორიაზე ბრიტანეთის ჯარების ყოფნის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „კომპეტენციას არ შეადგენს". პარაგვაის დელეგატის სიტყვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „კომპეტენციაში არ შეიძლება შევიდეს" არც საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტური რეჟიმის საკითხი. თუ პარაგვაის წარმომადგენელს დავუჯერებთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენციას მხოლოდ იმ რეზოლუციათა პროექტების მიღება შეადგენს, რომლებიც ამერიკელებს შეაქვთ.

პოლანდიის, ე. ი. იმ ქვეყნის დელეგატმა, რომლის მთავრობაც, როგორც ცნობილია, დამპყრობით, კოლონიურ ომს აწარმოებს ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, შეშფოთება გამოსთქვა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მშვიდობის ბედის გამო. ეს ფარისეველური დეკლარაცია მშვიდობის თემაზე პოლანდიის წარმომადგენელს მხოლოდ იმისათვის დასჭირდა, რომ შეეტანა წინადადება ამერიკის რეზოლუციის თავდაპირველი, უცვლელი რედაქციით მიღების შესახებ.

„დახმარების" სახით ეკონომიური ინტერვენციის წინააღმდეგ

№ 2 (ეკონომიურ და საფინანსო საკითხთა) კომიტეტი დღეს განაგრძობდა ეკონომიური და სოციალური საბჭოს მოხსენების განხილვას. პირველი გამოვიდა კანადის დელეგატი. მან იმის ჩივილით დაიწყო, რომ კანადის ეკონომიკისათვის შეერთებულ შტატებთან ვაჭრობა არახელსაყრელია, და დაამთავრა მარშალის „გეგმის" ქება-დიდებით, ამასთან არ დაუფარავს, რომ ეკონომიური ინტერვენციის ამ გეგმის განხორციელება გამოასწორებდა კანადელ ექსპორტიორთა საქმეებს.

საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა იუგოსლავიის დელეგატმა ვილფანმა. მან დასურათა გმირული ღონისძიებანი იუგოსლავი ხალხისა, რომელიც საკუთარი ძალებით ეწევა ომით მეტად დაზარალებული თავისი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენას. იუგოსლავიის მთავრობამ დაამტკიცა ხუთწლიანი ეკონომიური გეგმა, რომელიც წარმატებით სრულდება. წელს ნათესის ფართობმა იუგოსლავიაში ომამდელის 97 პროცენტს მიაღწია. ნაციონალიზებული მრეწველობის საწარმოო გეგმა 1947 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 103 პროცენტით. ამჟამად წარმოების საერთო დონე შარშანდელის 150 პროცენტს შეადგენს. იუგოსლავიის მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა გადააჭარბეს წარმოების ომამდელ დონეს. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად ომამდელზე თითქმის ერთნახევრად მეტი ელექტროენერგია მუშავდება, საშენი მასალა 1,5-ჯერ მეტი და სხვა.

„მოყვანილი შედეგები,—სთქვა ვილფანმა, —ადასტურებენ, რომ, მიუხედავად პესიმისტური წინასწარმეტყველებისა, რაც იუგოსლავიისადმი ამერიკის დახმარების შეწყვეტასთან დაკავშირებით გაისმოდა, საქონლის წარმოება და გაცვლა ჩვენს ქვეყანაში არ შემცირებულა და რომ ჩვენი საფინანსო სისტემა კვლავ მტკიცეა. ეს შესაძლებელი გახდა მთელი მოსახლეობის იმ უდიდეს კოლექტიურ ღონისძიებათა შედეგად, ამ ხალხის ენთუზიაზმისა და ნებისყოფის შედეგად, რომელმაც იცის, რომ თავისთვის მუშაობს".

აღნიშნა რა, რომ იუგოსლავიამ დასდო მთელი სერია სავაჭრო ხელშეკრულებებისა იმ ქვეყნებთან, რომელთაც სურთ მასთან თანასწორობის პრინციპით ითანამშრომლონ, ვილფანმა სამართლიანად გააკრიტიკა ეკონომიური და სოციალური საბჭოს მუშაობა, რომელმაც წინააღმდეგობა არ გაუწია ზოგიერთი ეკონომიურად აგრესიული სახელმწიფოს ცდებს — იმოქმედონ არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ, არამედ ამ ორგანიზაციის პრინციპების საწინააღმდეგოდაც. იუგოსლავიის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომის დაწყების წინ იუგოსლავიის ნაციონალურმა ბანკმა შეერთებულ შტატებს შესანახავად გადასცა 45 ათასი კილოგრამი ოქრო. ეს ოქრო, ისევე როგორც იუგოსლავიის სხვა ფონდები, დღემდე გაყინულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანონიერ მფლობელს არ უბრუნდება.

ვილფანმა აღნიშნა, რომ ომამდე დიდმა სახელმწიფოებმა მიაღწიეს იუგოსლავიის ეკონომიურ დამონებას. „ჩემი ქვეყანა იმდენად დამოკიდებული იყო ეკონომიურად, რომ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იგი დიდი სახელმწიფოების მხრივ ზეგავლენის შედეგად იღებდა. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ მარშალის გეგმა ისეთსავე „თანამშრომლობას" მოასწავებს, როგორიც იუგოსლავიაში წარსულში იყო".

„ჩვენ არაფერი ვიცით მარშალის გეგმის პირობების შესახებ. მაგრამ ვიცით, თუ რა პირობებით უწევენ დახმარებას საბერძნეთსა და თურქეთს. ამ ქვეყნებმა სესხები მიიღეს მათი სუვერენიტეტთან შეუთავსებელ პირობებში. განა შეიძლება სუვერენიტეტზე ლაპარაკი, როცა ქვეყანაში არიან უცხოელი ადმინისტრატორები, ექსპერტები და მისიები, რომელთაც უფლება აქვთ ყველა დარგში ჩაერიონ? ცხადია, რომ ამ სესხებს აქვს პოლიტიკური ინტერვენციის ხასიათი ვითომდა დახმარების სახით".

კომიტეტის სხდომაზე საერთაშორისო სასურსათო მდგომარეობის შესახებ განცხადება გააკეთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა გენერალურმა დირექტორმა ჯ. ორმა.

ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ, რომ კვლავ გადაისინჯოს 16 ქვეყნის პარიზის კონფერენციის მოხსენება

ლონდონი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). „ობსერვერის" ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის ხელისუფალნი იმ აზრისა არიან, რომ უმეტესი ნაწილი დასავლეთ ევროპის 16 ქვეყნის პარიზის კონფერენციის მოხსენებისა „მარშალის გეგმის" შესახებ ამ ქვეყნებს გადასასინჯავად უნდა დაუბრუნდეს. მათი აზრით, სწერს კორესპონდენტი, მოხსენება მრავალ მხრივ უკვე მოძველდა, ზოგიერთ მხრივ კი, — უეჭველია, — მეტისმეტად ოპტიმისტურია. კრიტიკული მოსაზრებანი ამერიკაში, განაგრძობს იგი, უმთავრესად იმას ემყარება, რომ ამერიკის ბაზარზე საქონელი საჭირო რაოდენობით არ აღმოჩნდება. ეს შეეხება არა მარტო განაცხადებს ჯართზე, თუჯსა და ზოდ ფოლადზე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, განაცხადებს ნავთზე. ნავთზე მოთხოვნა უნდა შემცირდეს. ამერიკელები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ აგრეთვე მოხსენების იმ განყოფილების გამო, რომელიც სოფლის მეურნეობას ეხება, და დაჟინებით მოითხოვენ მოხსენებაში დასახული პროგრამის გადასინჯვას.

„ობსერვერის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ, უეჭველია, სახელმწიფო დეპარტამენტის ბევრი ხელმძღვანელი წევრი ვაშინგტონში და მისი წარმომადგენლნი საზღვარგარეთ ფიქრობენ, რომ ევროპის ქვეყნებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს ის გარემოება, რომ საჭიროა ამერიკელ კონგრესმენთა დარწმუნება იმაში, რომ ევროპის ქვეყნებს შესწევთ თვითდახმარების ყველა შესაძლებლობა. გარდა ამისა, პარიზის კონფერენციის ბევრი ევროპელი მონაწილის აზრით, ამერიკა მოითხოვს ევროპისაგან „ფრიად სერიოზულ ცვლილებებს, რისთვისაც იძლევა დოლარული დახმარების არასაკმაოდ საიმედო დაპირებას..."

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხზე

ლონდონი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს შესდგა იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირის მეორე სხდომა. მოადგილენი შეუდგნენ ინგლისის დელეგაციის მიერ შეტანილ განსახილველ საკითხთა სიის გარჩევას.

იტალიასთან საზავო ხელშეკრულების 23-ე მუხლის №11 დანართის შესაბამისად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ მოადგილეებს დაავალა გაგზავნონ გამომკვლევი კომისია იტალიის ყოველ ყოფილ კოლონიაში. თათბირმა გადასწყვიტა ჩატარდეს იტალიის ყველა ყოფილი კოლონიის — ლიბიის, ერიტრეისა და იტალიის სომალის გამოკვლევა.

საბჭოთა დელეგაციამ, რომელმაც თავისი განცხადება სერიოზული არგუმენტებით დაასაბუთა, წინადადება შეიტანა შეიქმნას ორი გამომკვლევი კომისია ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შემადგენლობით — ერთი ლიბიის გამოსაკვლევად და მეორე ერიტრეისა და იტალიის სომალის გამოსაკვლევად.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ზარუბინმა აღნიშნა, რომ ორი კომისიის ერთდროულად მუშაობა თითქმის ერთი-ორად შეამცირებს გამოკვლევის დროს — შვიდი თვიდან 3-4 თვემდე. ორი კომისია შესძლებს უფრო სწრაფად შეისწავლოს თითოეული ყოფილი კოლონიის მდგომარეობა და გამოარკვიოს ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებანი მათი ტერიტორიების მომავლის საკითხზე, მით უმეტეს, რომ ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად, სოციალურად და პოლიტიკურად ლიბიის პრობლემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერიტრეისა და სომალის პრობლემებისაგან.

მაგრამ თათბირის სხვა მონაწილენი, რომლებსაც თავიანთი პოზიციის დასადასტურებლად სერიოზული არგუმენტები არ მოუყვანიათ და რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ ოთხი სახელმწიფოს ერთობლივი დეკლარაციის პირდაპირ მითითებას გამომკვლევი კომისიების გაგზავნის შესახებ, დაჟინებით მოითხოვდნენ მხოლოდ ერთი კომისიის შექმნას. მიუხედავად საბჭოთა დელეგაციის წინადადების აშკარა მიზანშეწონილობისა, კომისიების რაოდენობის საკითხზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე ის საკითხი, თუ რომელი ქვეყნების მთავრობები უნდა იქნას მიჩნეული „სხვა დაინტერესებულ მთავრობებად", რომლებზეც ლაპარაკია ოთხ სახელმწიფოს ზემოხსენებულ ერთობლივ დეკლარაციაში. ამ დეკლარაციის თანახმად, სხვა დაინტერესებულ მთავრობათა თვალსაზრისი შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული იტალიის ყოფილი კოლონიების ბედის განსაზღვრისას.

ინგლისის დელეგაციამ თათბირს წარუდგინა ტექსტი თავისი წინადადებისა საკითხზე სხვა დაინტერესებულ მთავრობათა შესახებ. ამ წინადადების თანახმად „ყოველ მთავრობას, რომელსაც სურს აზრი გამოსთქვას" იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხზე, შეუძლია გააკეთოს ეს, თუ წინასწარ აცნობებს თავის განზრახვას თათბირის გენერალურ მდივანს.

ამერიკის დელეგაციამ განაცხადა, რომ დაინტერესებულ ქვეყნებად აღიარებულ უნდა იქნან ის „სახელმწიფოები, რომლებიც ომის დროს მოკავშირე სახელმწიფოთა მხარეზე იღებდნენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში აფრიკის ტერიტორიაზე", აგრეთვე ის ქვეყნები, რომლებსაც ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ იტალიის ყოფილი კოლონიების მიმართ. ამის შესაბამისად ამერიკის დელეგატმა გოლმენმა წამოაყენა იმ ქვეყნების სია, რომლებიც, მისი აზრით, მიწვეულ უნდა იქნან იმისათვის, რომ თავიანთი თვალსაზრისი გამოსთქვან. ამ სიაში შედიან: ავსტრალია, ბელგია, ჩეხოსლოვაკია, ეთიოპია, საბერძნეთი, ინდოეთი, ახალი ზელანდია, პაკისტანი, პოლონეთი, სამხრეთ აფრიკა, ეგვიპტე.

სავსებით აშკარაა, რომ ამერიკის დელეგაციის წინადადება თავიანთი თვალსაზრისის წარდგენის შესაძლებლობას უსპობს მთელ რიგ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას იტალიასთან, მათ შორის იუგოსლავიას, ბელორუსიის სს რესპუბლიკას, უკრაინის სს რესპუბლიკას და სხვებს.

საბჭოთა დელეგაციამ წინადადება წამოაყენა დაინტერესებულ ქვეყნებად ჩაითვალოს ყველა მოკავშირე და შეერთებული სახელმწიფო, [illegible] ნეთის დელეგატმა ნოელ ჩარლზმა თავისი აზრი არ გამოსთქვა საბჭოთა დელეგაციის წინადადების შესახებ, მაგრამ უფლება დაიტოვა დაუბრუნდეს მას შემდეგ სხდომაზე 7 ოქტომბერს.

ლონდონი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხის გამო საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა იმ საკითხის განხილვა, თუ რომელი ქვეყნები უნდა იქნან შეტანილი „სხვა დაინტერესებულ მთავრობათა" ცნებაში იტალიის ყოფილი კოლონიების ბედის საკითხის გადაწყვეტისას. დისკუსიის შედეგად მიღებულ იქნა საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი ფორმულირება. ამ ფორმულირების თანახმად, „სხვა დაინტერესებულ მთავრობებად" უნდა იგულისხმებოდეს ყველა მოკავშირე და შეერთებული სახელმწიფოები, გარდა სსრ კავშირისა, შეერთებული სამეფოსი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს იტალიასთან საზავო ხელშეკრულებას". ამ მთავრობათა თვალსაზრისს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები მხედველობაში მიიღებენ იტალიის ყოფილი კოლონიების საბოლოო ბედის განსაზღვრის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის მისაცემი რეკომენდაციის შედგენისას.

თათბირის მიერ მიღებულ საბჭოთა წინადადებაში ნათქვამია, რომ მოადგილეები მხედველობაში მიიღებენ აგრეთვე იტალიისა და ეგვიპტის მთავრობათა თვალსაზრისსაც. ამრიგად, პაკისტანთან ერთად, რომელიც წინათ ინდოეთის შემადგენლობაში შედიოდა, იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებიც ხვდებიან „სხვა დაინტერესებულ მთავრობათა" კატეგორიაში, შედის 16 ქვეყანა, მათ შორის ეგვიპტე და იტალია.

წარმატება არ ჰქონია ავსტრალიის დაჟინებით მოთხოვნას, რომ მისი მიმომხილველი დაშვებული ყოფილიყო საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირის ყველა სხდომაზე. ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებული იყო ლონდონში მყოფი ავსტრალიის უმაღლესი კომისრის ბიზლის 3 ოქტომბრის წერილში და მათ პირველად მხარი დაუჭირა ბრიტანეთის დელეგატმა. თათბირმა გადასწყვიტა უარეყო ავსტრალიის დაუსაბუთებელი მოთხოვნები და დაავალა სხდომის თავმჯდომარეს, ბრიტანეთის დელეგატს სერ ნოელ ჩარლზს აცნობოს ავსტრალიის მთავრობას მოადგილეთა ამ გადაწყვეტილების შესახებ.

მოადგილეები შეუდგნენ სხვა დაინტერესებულ მთავრობათა მოსმენის პროცედურის საკითხის განხილვას. ამერიკისა და ინგლისის დელეგაციებმა წინადადება შეიტანეს, რომ დაინტერესებული მთავრობები ჩაბმულ იქნან გამომკვლევი კომისიისათვის ინსტრუქციის შედგენაში, აგრეთვე მისი წევრების რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრაში. საბჭოთა დელეგაციამ თავის წინადადებაში აღნიშნა, რომ „სხვა დაინტერესებული მთავრობები", აგრეთვე იტალია და ეგვიპტე, მონაწილეობას არ უნდა იღებდნენ და უშუალოდ არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი ოთხი სახელმწიფოს გამომკვლევი კომისიის მუშაობასთან.

საბჭოთა დელეგაციის წინადადებით გამომკვლევი კომისიების ინსტრუქციის, მარშრუტისა და მუშაობის განრიგის შემუშავება და დამტკიცება ოთხი სახელმწიფოს მინისტრთა მოადგილეების განსაკუთრებულ პრეროგატივას წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის დელეგაცია შეუერთდა საბჭოთა დელეგაციის აზრს, ბრიტანეთის დელეგატი სერ ნოელ ჩარლზი დაჟინებით იძლეოდა წინადადებას, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთა გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღონ ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა და ახალი ზელანდიის მთავრობებმა. ამერიკის დელეგაციამ მოხსნა თავისი წინადადება ამ საკითხზე ინგლისის წინადადების სასარგებლოდ.

პროცედურის საკითხების განხილვა განგრძობილ იქნება საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირის შემდგომ სხდომებზე.

ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიაში

ვენა, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიის 82-ე სხდომაზე, რომელიც 7 ოქტომბერს შესდგა, თავმჯდომარეობდა საბჭოთა კავშირის დელეგატი კოკტომოვი.

კომისიამ განიხილა 42 მუხლის სადავო პუნქტები და დააზუსტა ამ პუნქტების გამო არსებული უთანხმოებანი.

დისკუსიის პროცესში საფრანგეთის დელეგაციამ მხარი დაუჭირა ბრიტანეთის წინადადებას, რომელიც ეხება კომპენსაციას იმ ზარალისათვის, რაც ომის დროს მოუვიდა გაერთიანებული ერების ქონებას ავსტრიაში. ამ წინადადების აზრი ის არის, რომ ავსტრია „იკისრებს ვალდებულებას ყოველი დაინტერესებული გაერთიანებული ერის მოქალაქეებს დაუწესოს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, რომელიც უწესდება ან დაუწესდა ავსტრიის ქონებას ამ გაერთიანებული ერის ტერიტორიაზე".

საბჭოთა დელეგაციამ უარი სთქვა დათანხმებოდა ამ წინადადებას. ამასთან კოკტომოვმა განაცხადა, რომ ასეთი წინადადების მიღება უზომოდ მძიმე ტვირთს დააკისრებდა ავსტრიას. მან კომისიას გაახსენა, რომ ავსტრიაში არსებული დიდი ბრიტანეთისა და სხვა გაერთიანებული ერების ქონება, რომელიც მოსპობილ, დანგრეულ ან დაზიანებულ იქნა, მნიშვნელოვნად აღემატება გაერთიანებული ერების ტერიტორიაზე არსებული ავსტრიის ანალოგიური ქონების მოცულობას.

ავსტრიის ცნობების თანახმად, გაერთიანებული ერების იმ ქონების ღირებულება, რომელიც ავსტრიაში დანგრეულ ან დაზიანებულ იქნა, უდიდეს თანხას შეადგენს, რაც მილიარდობით შილინგით აღირიცხება. საბჭოთა დელეგაციას არასამართლიანად მიაჩნია დააკისროს ავსტრიას ვალდებულებანი, რომლებიც მის ძალებს აღემატებიან და გამომდინარეობენ ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინადადებიდან, მით უმეტეს, რომ ეს ვალდებულებანი სრულებით არ არიან იმ ვალდებულებათა თანაბარფასოვანი, რომლებსაც ამ შემთხვევაში დიდი ბრიტანეთი ან სხვა დაინტერესებული ქვეყნები კისრულობენ.

მაგრამ ბრიტანეთის დელეგატი კვლავ იცავდა თავის წინადადებას.

ამის გამო კოკტომოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ქონება გაცილებით მეტად დაზარალდა ომისაგან, ვიდრე დიდი ბრიტანეთის ქონება. „როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე არ ყოფილა არცერთი ავსტრიელი ჯარისკაცი, საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე კი გერმანელებთან ერთად იმყოფებოდნენ ასეულ ათასობით ავსტრიელი ჯარისკაცები, რომლებიც ანგრევდნენ და სპობდნენ საბჭოთა კავშირის ქონებას. ამრიგად, საბჭოთა კავშირს უფრო მეტი უფლება და საფუძველი ექნებოდა, ვიდრე დიდ ბრიტანეთს, პრეტენზიები წარედგინა ავსტრიისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირმა უარი სთქვა ავსტრიისაგან კუთვნილ რეპარაციებზე. ამიტომ საბჭოთა დელეგაციას შესაძლებლად არ მიაჩნია მიღებულ იქნას ბრიტანეთისა და საფრანგეთის აღნიშნული წინადადება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომისიამ გადასწყვიტა სხვადასხვა დელეგაციების მიერ 42-ე მუხლის გამო შეტანილი წინადადებანი გადაეცეს კომიტეტს, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის წარსადგენი მოხსენების შედგენაზე მუშაობს.

ამერიკის „დახმარება" თურქეთისადმი

ანკარა, 9 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „ვატანის" ცნობით, 1948 წლის ბიუჯეტით 7 მილიონი თურქული ლირით დიდდება ასიგნობანი ანკარაში, სტამბოლში, ადანასა და სხვა პუნქტებში აეროდრომების მშენებლობისათვის. თურქეთიდან გამგზავრების წინ ამერიკის მისიის მეთაურმა ბენეტმა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა აეროდრომების მშენებლობის საკითხზე, გაზეთ „ტასვირის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ გადაწყვეტილია ანკარაში, სტამბოლსა და ადანაში აგებულ იქნას 3 დიდი აეროდრომი.

სათადარიგო ასაკების მობილიზაცია საბერძნეთში

ათენი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). საბერძნეთის მთელ რიგ პროვინციებში გამოცხადებულია 1930-38 წლების გაწვევის სათადარიგო ასაკების მობილიზაცია ნაციონალურ გვარდიაში სამსახურისათვის.

8 თვეში 92.201.000 მანეთი მოგება

1947 წლის 1 სექტემბრისათვის საქართველოში სახელმწიფო სესხთა მომგებიანი ობლიგაციების დასაფარავად გაცემულია 92.201.000 მანეთი მოგება (შარშან გაცემული მოგების თანხა უდრიდა 75.752.000 მანეთს).

მარტო თბილისში მოგებათა სახით გაცემულია 31.050.000 მანეთი, აფხაზეთში—7.758.000 მანეთი, აჭარაში — 6.142.000 მანეთი, სამხრეთ ოსეთში—246.000 მანეთი და ქუთაისში — 4.341.000 მანეთი.

დიდი მოგებანი

1 სექტემბრამდე საქართველოს შემნახველ სალაროებში წარდგენილი იყო ორი ათასამდე ობლიგაცია, რომლებმაც დიდი თანხები მოიგეს. მრავალ წარდგენილ ობლიგაციას 25.000 და 10.000 მანეთი მოგება ხვდა. იყო 20-მდე ისეთი ობლიგაცია, რომელსაც 50.000 მანეთი მოგება ხვდა.

საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოებაში

აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში (მარის ქ. № 1) 11 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოების 68-ე საერთო სხდომა, რომელზეც მოხსენებებით გამოვლენ: პროფესორები პ. ნარიკაშვილი და შ. ჩახნაშვილი — „რეფლექსური მოქმედების რაოდენობითი დახასიათების შესახებ", ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნ. ძიძიშვილი — „ელექტროენცეფალოგრაფია შიზოფრენიის დროს".

ახალი წიგნი

საბლიტგამმა გამოსცა ელიზბარ ზედგინიძის (პოლუმორდვინოვის) საბავშვო მოთხრობების კრებული „სალამურის ხმა". წიგნში მოთავსებული მოთხრობები „აკვანი", „ბროლია", „ბედნიერება", „გულუბრყვილო ნანა", „პატარა მოისარი" და სხვები იბეჭდებოდნენ ჟურნალებში „პიონერსა" და „ოქტომბრელში".

წიგნი, რომლის რედაქტორია ა. შენგელია, შეიცავს 112 გვერდს და ღირს 10 მანეთი.

სემინარი

10 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი აწყობს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის სემინარს თემაზე: **„ი. ბ. სტალინი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში (1926-1929 წლები)".**

ლექტორი—მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკი ამხ. **კალინინა.**

თეატრებში

10 ოქტომბერს: ფალიაშვილის სახელობის —„აბესალომ და ეთერი"; **რუსთაველის სახელობის** — „სამშობლო"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"; **გრიბოედოვის სახელობის** — „რუსეთის საკითხი"; **მუსიკალური კომედიის** — „მზის დაბნელება"; **სომხური** — „ღრმა ფესვები"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „მართალი კაცი"; **რუსული** — „მშვენიერი ვასილისა".

კინოებში

10 ოქტომბერს: რუსთაველის სახელობის და **„ამირანი"** (საზაფხულო და ზამთრის) — „ნუ დამივიწყებ"; **„ოქტომბერი"** — „ძველებური ვოდევილი"; **„კომკავშირელი"** (საზაფხულო) „უფროსი ადამიანები", (ზამთრის)—„1947 წლის პირველი მაისის პარადი" (ფერადი ფილმი); **„სპარტაკი"** — „ბრძოლა ლიანდაგზე"; **26 კომისრის სახელობის** (ზამთრის) — „ნუ დამივიწყებ"; **„კოლმეურნე"** — „შენა ხარ ჩემი ბედნიერება".

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

10 ოქტომბერს

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.

17.20 — ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. 17.40 — გადაცემა უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის. 18.20 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ზაზაძის შესრულებით. 19.15 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.15 — საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი 21.05 — არიები დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ოპერებიდან. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა. 23.00 — საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის კონცერტი. პროგრამაში საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

1938 წლის სახელმწიფო სამინაო მომგებიანი სესხი

მოგებათა 56-ე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1947 წლის 25 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში. 1938 წლის სახელმწიფო სამინაო მომგებიანი სესხის 56-ე ტირაჟში მოგებანი ხვდათ სესხის ოთხივე თანრიგის სერიებსა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
00041	13*)	10000	31039	1—40	5000
00436	1—40	1000	32357	1—40	400
00814	1—40	400	32618	1—40	400
00933	1—40	400	34193	1—40	400
01232	1—40	400	34618	1—40	400
01453	03*)	25000	35013	1—40	400
01697	1—40	400	35188	1—40	1000
02006	1—40	400	36173	1—40	1000
02366	1—40	400	36207	1—40	400
02395	1—40	400	36605	15*)	10000
04039	1—40	400	36620	1—40	400
04778	31*)	10000	37868	1—40	1000
05133	1—40	400	38569	1—40	1000
05421	1—40	400	39636	1—40	400
05683	1—40	400	39822	1—40	1000
06147	1—40	1000	41011	1—40	400
06232	18*)	10000	41290	1—40	400
06544	1—40	1000	43482	05*)	10000
07326	1—40	1000	43757	1—40	5000
07462	1—40	1000	44203	1—40	1000
07979	31*)	25000	45377	1—40	400
08382	1—40	400	45550	1—40	1000
08301	1—40	400	46966	19*)	10000
08592	1—40	400	47509	33*)	10000
09056	1—40	400	47566	1—40	400
10340	1—40	400	47836	1—40	400
10520	1—40	400	47940	1—40	400
11970	1—40	1000	48163	23*)	10000
12420	1—40	400	49442	1—40	400
12494	1—40	1000	49465	1—40	400
13174	1—40	400	49954	1—40	400
13484	1—40	1000	50077	1—40	1000
13622	1—40	1000	51957	1—40	400
14256	1—40	400	51988	1—40	400
14944	1—40	400	52291	1—40	400
16326	31*)	25000	53416	1—40	400
16536	1—40	1000	53662	1—40	400
16927	14*)	10000	53703	1—40	400
17328	1—40	400	54146	1—40	1000
17518	1—40	400	54192	1—40	400
17679	1—40	400	54865	12*)	25000
17813	1—40	400	55347	1—40	1000
18190	33*)	10000	55375	1—40	400
18297	1—40	400	57944	18*)	10000
19012	1—40	400	59084	10*)	10000
19109	30*)	10000	59292	1—40	1000
20199	1—40	1000	59934	1—40	400
21745	1—40	400	63124	1—40	400
21912	1—40	400	63559	1—40	400
22020	28*)	10000	64553	1—40	400
22858	33*)	10000	64856	1—40	1000
22993	1—40	1000	65011	1—40	1000
23465	1—40	400	66180	1—40	5000
24244	1—40	400	66771	1—40	400
24501	1—40	400	67517	1—40	400
24540	1—40	400	67866	1—40	400
24681	12*)	10000	68714	1—40	400
24842	1—40	1000	69724	1—40	400
27481	1—40	1000	69977	1—40	400
27854	1—40	400	70119	1—40	400
28914	1—40	400	70636	1—40	400
28988	1—40	400	70707	1—40	400
29058	1—40	400	71532	1—40	1000
29135	11*)	10000	72042	18*)	10000
29301	1—40	1000	72234	1—40	400
29307	1—40	400	73038	1—40	400
30788	17*)	10000	73040	1—40	400
30399	06*)	10000	73698	1—40	400
30494	1—40	400	74654	1—40	400
30695	1—40	400	74706	1—40	400
30700	1—40	400	74949	1—40	1000

*) ამ სერიის დანარჩენ 39 ნომერ ობლიგაციას ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე პ. პ. პუშენინი

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

10 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება დოცენტ ა. ქუთელიას ლექცია თემაზე: **დისკუსია ამხ. ალექსანდროვის წიგნის — „დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ისტორიის" გამო.**

10 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. **წერეთლის** კონსულტაცია ფილოსოფიაში.

11 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** კონსულტაცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"** (15 დღის მიმოხილვა).

11 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, კომბინატ „კომუნისტის" კლუბში მოწვეულია **საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონული XXIII კონფერენცია.**

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები, სათანადოდ შემოწმებული: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომი, ცნობა სამეცნიერო ხარისხის და სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია და თვით ნაშრომები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების რეცენზია, ფოტოსურათი.

კონკურსის ვადა—ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე (მელიქიშვილის ქ. № 16).

დირექცია

გ. ჯიბლაძე, ა. მერცხულავა, დ. ჰოლოკავა, ს. ჰილაია, ვ. ჰიაურელი, მ. ალექსიშვილი, ვ. ზურჯანაძე, დ. მაისურაძე, გ. ქვანია იუწყებიან **იასებ ელიზბარის-ძე დუდუჩავას** გარდაცვალებას.

მეუღლე ტერეზი, შვილები ლუკიანე, ოლია, ეფროსინე, ვერა, ალექსანდრე, ნოე, რომანოზ ოჯახებით იუწყებიან **სოლომონ ივანეს-ძე ჩივიგაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-X სოფ. მარანში.

მეუღლე სისო, შვილი ანზორ, იუწყებიან **სოფიო სიმონის ასულ ჯაფარიძე-გულოვანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-X მესტიაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლის პროფესორ-ლექტორები და მსმენელები იუწყებიან ვახტანგ დავითულიანის მეუღლის **ნუშას** გარდაცვალებას.

შოთა, შუშანა, მიხეილ და ნინო ჭანუყვაძეები იუწყებიან მამია დუდუჩავას მამის **იასების** გარდაცვალებას.

სოფელ კოდის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება მასწავლებელ **თამარ დავითის ასულ მჭედლიძე-მარჯანიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-X, 3 ს. კოდაში.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 12661